# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 209 სამშაბათი, 22 სექტემბერი 1909 წ. № 209


ეროვნული ბიბლიოთეკა


განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან—3 საათ. საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან საშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ სექტემბრიდან წლის ბოლომდე 3 მ. 70 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკა

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

**ექიმი** ქ. ქუთაისში. მ. დ. ბეთანოვი

აფთიაქის, N 24, და კლუბის ქ., N 2, კუთხეში. იღებს სიფილისით, ვენერიულ, კანის და შინაგანის სენით ავადმყოფებს ყოველ დღე 25 აგვისტოდან დილით 9—11 ს. საღამოთი 5—8 ს. (25—კვ.—23)

**ექიმი** კბილისა ს. ვაშაყმაძე

აბასთუმნიდან დაბრუნდა. ავადმყოფებს იღებს **ახალ ბინაზე** დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, ს. N 15. (25—ნ.—12)

**ექიმი** კ. ს. ფონ ირტელი

არჩენს სპეც. თირკმ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მეგლ., მონუმენტის მეს. N 5, ს. მაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—4)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** ი. ნ. ეგიაზაროვის

ელექტრო - თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ზალ.—12)

**ექიმი** ლ. ნ. ოჯანჯანოვი

ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ზალ.—18)

**ექიმი** ჩარექოვი

ქ. ქუთაისში

სპეციალისტი

იღებს განსაკუთრებით **სიფილისით,** ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. დილით 12—2 ს., საღამოთი 4—6 ს. გეგუთის ქუჩა, აბულაძის მესახლე იოსელიანის სახლში. (25—ფ.—14)

**ექიმი** კ. ი. ტყეშელაშვილი

ქუთაისში

იღებს შინაგანდა **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმლების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლ ფირალოვისა (70—კვ.—67)

**ექიმი** მიუნხენის უნივერსიტეტისა იორდანე მ. გოცაძე

დაბა ყვირილაში

მიიღებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს 8—1 ს. გედევან ჩუბინიძის ნომრებში. ნასადილევს ივლის სახლში ავადმყოფებთან. (25—417—23)

**ექიმი** კაკიტელაშვილი

ქუთაისში

9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს .საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—70)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, ხაკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 163,

**ექიმი** მ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

**ექიმი** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—253)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—11)

**ექიმი** ვასილ წერეთელი

ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—10)

ახლად გახსნილი

ტფილისის

### კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. ვ. **ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. **ლამბაშიძე**—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ბ. ა. **ქობიძე**—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ა. ნ. **დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. **მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. **გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. **მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—5.—161)

### სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

მ. **ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

ნ. **ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

ვ. **ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

ი. **ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.

მ. **კიმონტი**—ქირურგ, ავად. 11—12 ს.

მ. **მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ლ. **მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

ა. **კალმიკოვა-ვნუკოვა**— ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება სახოგ. პალატებისა და ცალკე ხომრებისაგან. (100—ზალ.—11)

### სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

**ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.**

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე $1\frac{1}{2}$—3 ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**ითხელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოიუსვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ჩუდნოვსკი.**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ.და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—ბავშ. ყ.-დღე. 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3.

**ნავიცკი**—ბებ. ქალ., ყოველ დღე 1—2

**აბულედიანი**— შინაგ. ყოველდღე11-12

**კალამქაროვი**—ბებ., ქალ. ყ.-დღე 4-5

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსენარის შრატით. (100—ნ.—95)

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ნაფიცი ვექილი

### სერგეი დავითის ძე ჯაფარიძე

ქუთაისიდან გადავიდა ტფილისში (ბროსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი № 11, სასტუმრო „ლონდონის" ახლოს). (25—ნ.—13)

გამოვიდა და იყიდება

### „ქება-ქებათა" სოლომონისი,

კიტა აბაშიძის წინასიტყვაობით და შენიშვნებით და

### „სულამიტ",

ა. შანშიაშვილისა. გამოცემა კ. აბაშიძისა. წიგნი იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში, ფასი ორი შაური. (10—8)

### შინაური სადილი

შეუძლიან მსურველს მიიღოს ინტელიგენტ ოჯახში, კიროჩნის ქუჩა, № 27, ბინის № 3. სანოვაგე ახალი და კარგი—ამის პასუხის მგებლობას ვკისრულობთ. სადილი შეგვიძლიან სახლში გავგზავნოთ. (1—461—1)

### იყიდება

იაფად **სააგარაკო ადგილები,** თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ **თელოვანში** (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საავარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოღოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გიორგის ძეს მაღლაშვილს.** (50—ნ.—30)

იყიდება ყველგან ახალი

### ჩანგი

წიგნი 502 გვ., ჩართულია 60 მეტი სურათი საზოგადო მოღვაწეებისა. დაბეჭდილია მრავალი ისეთი ლექსები, სცენები, სახუმარო და საოხუნჯო კუპლეტები, რომლებიც ჯერეთ არსად არ დაბეჭდილა. სხვათა შორის მოთავსებულია სამი პიესა: **„ადვოკატთან", „ტაინი სოვეტნიკის სიზმარი" და „უბედური დღე".** წიგნი მშვენიერის ყდით ღირს 1 მ. 35 კაპ.—უყდო 1 მან. ფოსტით ვინც გამოიწერს, მას გასაგზავნი ფული არ გადახდება. ფულის მაგიერ შეიძლება მარკებიც. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ პროცენტები.

ადრესი: Тифлисъ, „Сорапанъ" Гачечиладзе. (30—6.—21)


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

მესამე სათათბიროს ხელმძღვანელი პარტია ყოველთვის იმედიანად იყო ხოლმე. სწამდა, რომ არც პირველი და არც მეორე სათათბირო ისეთი საქმიანი არ იყო, როგორიც მესამეა. ამიტომ, ვინც კი გაბედავდა და ეჭვს შეიტანდა ამ „საქმიანობაში", ოქტომბრისტების პარტიული ორგანოები, თუ მათი თანამგრძნობნი, ყველას პირში ბურთსა სჩრიდნენ—რა საბუთით და როგორა ჰბედავთ, რომ მესამე სათათბირო არაფერს აკეთებსო. ასე იყო აქამდის და ამასვე გაიძახიან დღეს. მთავარი ორგანო ამ პარტიისა „გოლოს მოსკვი" თავის მეთაურ წერილში ეხება სათათბიროს მომავალ სესიას და, სხვათა შორის, ასე იწყობს:

საზაფხულო არდადეგებით შეჩერებული მუშაობა საკანონმდებლო დაწესებულებათა მალე თავის ჩვეულებრივ შრომის კალაპოტში ჩადგება და კვლავ მედგრად(?) და მუყაითად განამტკიცებს რუსეთის ცხოვრების ახალ საფუძვლებს.

თურმე ნუ იტყვით, ამ ახალ საფუძველთა განმტკიცებაში ოქტომბრისტებს წინ ვერავინ დაუდგება და ვერც „მოლაყბე" რადიკალების (იგულისხმებიან კადეტები) და მათი „მემარცხენე მეგობრების" ყვირილი—„სათათბირო არაფერს აკეთებს", „იმისაგან არაფერს უნდა მოველოდეთო"—შეგვიშლის ხელსაო. ასე იმედიანია გაზეთი და შემდეგ ეხება სათათბიროს მომავალ სესიის პროგრამას. სათათბირომ უნდა დაამთავროს თავისი საადგილმამულო მუშაობა. თუ გაზეთს დაუჯერებთ, 9 ნოემბრის კანონს ადგილობრივ დიდი სასწაული მოუხდენია. ზოგიერთი სოფლები და ოლქები თითქოს მკვდრეთით აღდგნენ და ახალ ცხოვრებას შეუდგნენო, რადგან კერძო მეურნეობის საწარმოოდ სესხია საჭირო, ამიტომ სათათბირომ უნდა ისეთი რეფორმა მოახდინოს შემნახველ-გამსესხებელ კასებისა, რომ სოფლად აძლიონ ხოლმე სესხიო. თუ ეს მოეწყო, საადგილ-მამულო რეფორმა სავსებით მოხდება და მისი ნაყოფიც ურწმუნოთათვისაც აშკარა იქნებაო. შემდეგ სათათბირო განიხილავს კანონ-პროექტს საყოველთაო განათლების შემოღების შესახებ. დაწყებითი სწავლება მხოლოდ სახსარში იქნებაო, ამბობს გაზეთი. შემდეგ სათათბირო განიხილავს კანონ-პროექტს მეტევზეობის შესახებ. განიხილავს კანონ-პროექტს დასავლეთ-გუბერნიებში ერობის შემოღების შესახებ.

ბევრიოდე სხვა წვრილმანი კანონპროექტი კიდევ და თვალ-წინ გადაგეშლებათ მთელი პროგრამა სათათბიროს მომავალ სესიისა. ამ პროგრამის გათვალისწინებით ოქტომბრისტების ოფიციოზს გულს იმედი ეფინება და თანაც თავს იქნევს, ამდენ მუშაობას როგორ უნდა აუვიდეს სათათბიროო.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 და 20 სექტემბერი

### სპარსეთი

**თეირანი.** თეირანში ამ ჟამად მეჯლისის 40 დეპუტატია. ამ დღეებში ადერბეიჯანიდან ჩამოვა 19, ხორასანიდან 11 დეპუტატი. მეჯლისი გაიხსნება 61 დეპუტატის თანადასწრებით.

ზენჯანში, კურბანალის წინააღმდეგ გაიგზავნა 500 მუჯიდინი.

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა ადმინისტრაციის წარმომადგენლებს დაუგზავნა ცირკულიარი. ცირკულიარში აღნიშნულია, ავსტრიამ უკვე განაცხადა, წინააღმდეგი არა ვარ კაპიტულიცია გაუქმდესო, ამას გარდა რუსეთის ელჩმა კონსულებს მისწერა, ადგილობრივ მთავრობასთან მეგობრული განწყობილება დაიჭირეთო. ამიტომ მინისტრი ადმინისტრაციას წინადადებას აძლევს მეგობრული განწყობილება იქონიეთ უცხოელებთან, კანონიერება დაიცავით, უკანონოდ ნურავის დასჯით და მთხოვნელებს ზრდილობიანად მოექეცითო. უცხოელებსო, სწერს მინისტრი, ისე უნდა მოექცეთ და პატივი სცეთ, როგორც სტუმრებს და ამასთან არ უნდა მისცეთ ნება, რომ კაპიტულიაციის განსაკუთრებულ უფლებებით ვინმე გადამეტებულად ისარგებლოს, ან ეს უფლებები გადამეტებულად განმარტონო. რაც შეეხება კონსულებს, ცირკულიარის მიხედვით, მათ ისე უნდა უყურებდნენ, როგორც საპატიო სტუმრებს, ადმინისტრაცია უნდა ეცადოს კონსულებთან პირადად კარგი განწყობილება იქონიონ და ყველა უთანხმოება პირადის ნახვით და მოლაპარაკებით მოაგვარონ და არა წერილობითი კამათი გამართონო. დასასრულ ნათქვამია, კაპიტულიაციის მომავალ გაუქმების ბედი ცოტად თუ ბევრად ამ ინსტრუქციის ასრულებისგანაც არის დამოკიდებული, ამიტომ იმედი გვაქვს ადმინისტრაცია გულმოდგინეთ აასრულებს ჩვენ წინადადებასო.

**სალონიკი.** გუშინ, 20 აგვისტოს კემბელ-ფაშის უფროსობით ჩამოვიდა სამხედრო ფლოტი—ჯავშნიანი გემი, ერთი კრეისერი, 3 ჯავშნიანი კანონერკა, ნაღმოსანი და ერთიც ავადმყოფების მოსათავსებელი გემი. ჯავშნიანი გემი და კრეისერები იემენში გაიგზავნენ. ფლოტი აქ რამდენიმე დღეს დარჩება.

### საზღვარ-გარეთ.

**ციურიხი.** გაფრინდა 18 ჰაეროპლანი. უნდა გაეგოთ, რომელი ტიპის ჰაეროპლანი უფრო მეტს გაფრინდება.

**მელილია.** სელუანიდან ესპანელებმა სუკელ-ქემისისკენ გაილაშქრეს. ესპანელებს და მავრებს შორის სროლა დაიწყო. მავრების რიცხვი 5,000 კაცს უდრის.

**მადრიდი.** გენერალ ვიკარიოს ბრიგადამ დაათვალიერა სუკელქემის მიდამოები. ბრიგადის დაბრუნების დროს მავრებმა მოჰკლეს გენერალი ვიკარიო. ვიკარიოს ტყვია შიგ თავში მოხვდა. ბრიგადის უფროსობა მიიღო გენერალმა ტოკარმა. მავრების და ესპანელების შეტაკება მავრების გაქცევით გათავდა. მავრებს დიდი ზარალი მოუვიდათ. ესპანელები სელუანიდან დაბრუნდნენ, რადგან რაც უნდოდათ გააკეთეს.

**პორტლანდი** (ორეგონის შტატი). როდესაც შეერთებულ შტატების პრეზიდენტი ტაფტი ავტომობილში ჯდებოდა, ვიღაც უცნობი ძალიან სცდილობდა ტაფტს მიახლოვებოდა ვითომდა სურათის გადასაღებად. უცნობი დააპატიმრეს, მას აღმოაჩნდა გატენილი რევოლვერი.

**პოტსდამი.** გუშინ ტახტის მემკვიდრე რაიტის ჰაეროპლანით გაფრინდა. ამის შემდეგ რაიტი მარტო გაფრინდა და 400 მეტრის სიმაღლეზე ავიდა.

**მადრიდი.** სუკელქემისთან მომხდარ ომის დროს ესპანელებმა მავრებს მოუკლეს და დაუჭრეს 235 კაცი.

**პეკინი.** ოფიციალურად გაიხსნა პეკინ-კალგანის რკინის გზა. ეს რკინის გზა სიგრძით 220 კილომეტრია. გაყვანილია ოთხი ტუნელი. ამ რკინის გზის აშენებას ოთხი წელიწადი მოუნდნენ. რკინის გზის აშენებაზე მუშაობდნენ ჩინელები. რკინის გზისთვის სესხი არ აუღიათ.

**მადრიდი.** გენერალ მარინას შეკითხვაზე, ხომ ვერ მომაშველებთ ჯარსო, მინისტრთა საბჭომ დაადგინა გაგზავნოს მაროკოში ერთი დივიზია ჯარი. მინისტრ-პრეზიდენტ მაკრას სიტყვით, ამ დივიზიის გაგზავნით სამინისტროს აზრად არა აქვს ომის გეგმა გააფართოვოს.

**ათინა.** მინისტრ-პრეზიდენტმა მავრომიხალისმა გახსნა დეპუტატთა პალატის ახალი სესსია. დეპუტატთა პალატის სესსიის გახსნას აუარებელი აფიცრობა დაესწრო პალატის პრეზიდიუმის არჩევნები 24 სექტემბერს მოხდება.

**მადრიდი.** „კორესპონდენცია—დე ისპანას" ტანჟერიდან ატყობინებენ: ადგილობრივ მცხოვრებლების სიტყვით ფეცელებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სელუანის აღებამ. ფეცელებმა ჯარი გაგზავნეს მავრების მისაშველებლადო.

**მელილია.** კონცრხ ფორტთან მაროკოლებმა ესპანელებს 90 თოფი ჩააბარეს და მორჩილება განუცხადეს. იტყობინებიან, მაზულას, ბენისიკარის და ბენიბუმფრუს თემებმა გადასწყვიტეს ესპანელებს მორჩილება გამოუცხადონო.

### რუსეთი

**სარატოვი.** სოფელ პეტროვოიში გადაიწვა 10 სახლი. დაიღუპა შინაური საქონელი და ორი კაცი.

**ტომსკი.** ფოსტა-ტელეგრაფის საწყობის ქვეშ 30 საჟენის სიგრძე ხვრელი აღმოაჩინეს. ხვრელში დააპატიმრეს 4, ქალაქში 5 კაცი.

**სიზრანი.** სადგურ კივაჩის ახლო მატარებელს მოსწყდა 21 ვაგონი. ვაგონები პურით იყო დატვირთული. ვაგონები სულ დაიმტვრა. დაიღუპა ქალი და კაცი.

**კრონშტადტი.** საარტილერიო სახელოსნოში აფეთქება მოხდა. სახელოსნოს კარებები და ფანჯრები ჩამტვრეულია. მოკვდა 4 კაცი.

**ხარბინი.** გერმანიის პეკინელ ელჩის ბრძანებით ხარბინში წავიდა გერმანიის დიპლომატიური აგენტი. დიპლომატიური აგენტი გამოიძიებს ამხანაგობა „ხარბინის" ლუდის ქარხნის გაყიდვის დროს ინციდენტს.

**მოგილევი.** 16 სექტემბერს, დაბა კორმში გადაიწვა 68 სახლი, 42 დუქანი, მათ შორის, სახაზინო არაყის დუქანი.

**პეტროვსკი** (დაღესტანი). ნაშუადღევის 2 საათზე გემ „სკობელევით" ჩამოვიდა სპარსეთის შაჰად ნამყოფი მაჰმედ-ალი. მაჰმედ-ალის თან მოჰყვნენ მეუღლე, სამი შვილი, 6 წარჩინებული პირი და მოსამსახურეები. გემ „სკობელევს" თან მოსდევდა სამხედრო გემი „გეოკტეპე". ნავთსადგურში მაჰმედ-ალიმ მიიღო დაღესტნის ოლქის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწე თავადი დადეშქელიანი და კამერგერი ბატიუშკოვი. 2 ნახევ. საათზე შაჰად ნამყოფი გადავიდა სამხედრო გემ „გეოკტეპეზე", სალამი მისცა მატროსებს და აფიცრებს და შემდეგ 20 წუთი კაიუტ-კომპანიაში დაჰყო. „გეოკტეპედან" წასვლის დროს გაისროლეს ზარბაზნები. მაჰმედ-ალი ოდესას ოც სექტემბერს გაემგზავრება.

**ეკატერინოსლავი.** ერობამ სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩია მიკლაშევსკი.

**მოგილევი** (საგუბერნიო). დაბა პეტროვიჩაში გადაიწვა 90 სახლი და ფოსტის განყოფილების სადგომი. ფული გადაარჩინეს.

**ოდესა.** განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელმა გადასწყვიტა სამართალში მისცეს ქალაქის თვითმართველობის 1905 წლის გამგეობა—ქალაქის ორი თავი, ქალაქის თავის ამხანაგი, გამგეობის 2 წევრი, მდივანი, ხუთი ექიმი, 2 საქმის მწარმოებელი და 2 მოსამსახურე. ამათ ბრალდებათ ქალაქის ფულების უკანონოდ დახარჯვა და არეულობის ჩასაქრობად შესაფერ ზომების მიუღებლობა.

**სიმფეროპოლი.** საღამოს 5 საათზე 2 ბოროტგანმზრახველი თავს დაეცა ქალაქის საყასბოს კანტორას. გაიტაცეს 300 მანეთი. ბოროტგანზრახველებს გამოედევნა ორი დარაჯი. ერთმა ბოროტგანზრახველმა დარაჯებს ესროლა. დაიჭრა ბავშვი. დააპატიმრეს ყუმბარის მსროლელი. მეორე დაიმალა. გუბერნიის მართველმა მახალსკიმ ხელად თავი მოუყარა საეროზო დარაჯებს და ალყა შემოარტყა საყასბოს ახლო-მახლო ბაღებს. ერთ ბაღში ნახეს მეორე ბოროტგანმზრახველი. ბოროტგანზრახველებმა სროლა ასტეხა, მაგრამ უშედეგოდ. დარაჯებმა მოჰკლეს ბოროტგანმზრახველი. ფული იპოვეს.

**პეტერბურგი.** ფინლიანდიის სენატმა დაადგინა ხელმწიფე-იმპერატორს გადასცეს გაზეთ „ფრამტიდის“ რედაქტორის საქმე. ამ გაზეთის რედაქტორს ბრალდება ხელმწიფე-იმპერატორის შეურაცხყოფა.

**ნიკოლაევსკი.** სოფელ ვისოკში გადაიწვა 98 სახლი. და წრევანდელი მოსავალი. ზარალი 122,000 მანეთს უდრის.

**სმოლენსკი.** სოფელ პოკინიჩახში გადაიწვა 30 სახლი და წრევანდელი მოსავალი. ზარალი 36,000 მანეთს უდრის.

**პეტროვსკი.** სპარსეთის შაჰად ნამყოფმა ღამე გემ „სკობელევზე“ გაათია. დღეს, 21 სექტემბერს, დილის 8 საათზე, მაჰმედ-ალიმ საჩუქრები დაურიგა გემებს „სკობელევის“ და „გეოკტეპეს“ მატროსებს და აფიცრებს. გემების კაპიტნებს მაჰმედ-ალიმ ძვირფასი ნივთები აჩუქა. ამის შემდეგ შაჰად ნამყოფი ამალით და ოჯახობით განსაკუთრებულ მატარებელში გადავიდა. სადგურზე მაჰმედ-ალის დაუხვდა ჯარის სარეზერვო ბატალიონი და სხვა და სხვა დაწესებულებების უფროსები. შაჰად ნამყოფს თან ახლდნენ კამერგერი ბატიუშკოვი და სპარსეთის ყაზახთა ბრიგადის როტმისტრი ხაბაევი.

**სიმფეროპოლი.** ყუმბარამ მოჰკლა ბოქაული ვერბიცკი, დასჭრა 4 დარაჯი. დაწვრილებით ჯერ არაფერი გამორკვეულა. ბოქაული მოკვდა საყასბოს მიდამოების დათვალიერების დროს. ბოროტგანზრახველებს საყასბოს ახლო ყუმბარა დაეტოვებინათ. როდესაც ბოქაული იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც ყუმბარა იყო, ყუმბარა აფეთქდა.

**სიმფეროპოლი.** როგორც გამოირკვა მეორე ბოროტგანზრახველი კი არ მოუკლავთ, დაუჭრიათ. ყუმბარა ბოქაულის ხელში გასკდა. დაჭრილია 7 პოლიციელი, მათგან 2 სასიკვდილოდ.

**კიშინევი.** ბესარაბიის თავად-აზნაურთა კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს, რომ ბესარაბიის უცხოელ მონასტრების მიწების ოცი ათასი დესეტინა, შემოსავალი ბესარაბიის მკვიდრთ მოხმარდეთო. აქედან შემოსავალი ფული ადგილობრივ წოდებებს და თვითმართველობებს უნდა გადაეცეთ.

**ხ ო ლ ე რ ა**

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 27, გარდაიცვალა 4, ავად არის 362 კაცი.

**ნოვგოროდი.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში, გუბერნიაში ავად გახდა 39, გარდაიცვალა 7 კაცი.

**იაროსლავლი.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში ქალაქში ავად გახდა 43, გარდაიცვალა 28, გუბერნიაში ავად გახდა 40, გარდაიცვალა 28 კაცი.

**კიევი.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში ავად გახდა 25, გარდაიცვალა 12 კაცი.

**ტვერი.** ერთი კვირის განმავლობაში ავად გახდა 23, გარდაიცვალა 11 კაცი. მაზრებში. ავად გახდა 18, გარდაიცვალა 17 კაცი.

**ბალახნა.** ავად გახდა 3, გარდაიცვალა 5 კაცი.

**რიგა.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში ავად გახდა 12, გარდაიცვალა 16 კაცი.

**პლოცკი.** ავად გახდა 3 კაცი. არავინ გარდაცვლილა.

## კახეთის რკინის გზა

კახეთის რკინის გზას თითქმის იწყებენ: კვლევა-ძიებას უკვე შეუდგნენ. ყველა სიხარულით ეგებება ამ ამბავს, მაგრამ განზრახული მიმართულება გზისა ბევრს უცრუებს იმედს. როგორც ეტყობა, გზა მარტო შიგნით კახეთისათვის გაჰყავთ. გარეთ კახეთის საუკეთესო და მჭიდროდ დასახლებულ სოფლებს, რომელნიც მწკრივად გაშმულან ტფილისიდანვე—მარტყოფს, ნორიოს, ახალსოფელს, ხაშმს, პატარძეულს, ნინოწმინდას, საგარეჯოს, გიორგიწმინდას, თოხლიაურს, მანავს და სხვას—ერთის სიტყვით, მთელ გარე კახეთს, ტფილისის მაზრის უდიდეს და საუკეთესო ნაწილს, გზა სცდება.

იმ გეგმით, რომელსაც ეხლა ადგენენ, გზა ტფილისიდანვე უდაბურ ადგილებზე წავა, გაივლის სამგორის ვაკეზე და მხოლოდ სართიჭალის ბოლოს გავა იორს გაღმა, საიდანაც ხუთი ვერსის მანძილზე გაუვლის იმისთანა სოფლებს, როგორიც საგარეჯო და მანავია. აქ გზამ ვრცელ ჭაობიან და დაუსახლებელ ადგილებზე უნდა გაიაროს. ზევით, სოფლებისკენ რომ აეწიათ, სულ ასცდებოდა ამ ჭაობებს და ნაკლები შრომა და ხარჯიც დასჭირდებოდა.

ისევე იქცევიან რკინის გზის გამყვანნი ეხლა, როგორც მოიქცნენ ტფილისის—სიღნაღის გზა-ტკეცილის გამყვანნი. რუსის ერთი სოფლის აზამბურისთვის (მალხაზოვკა) გარედ კახეთის სოფლებს ათი და ოცი ვერსით მოსწყვიტეს გზა.

არც ქიზიყის მდგომარეობაა სანუგეშო. მომავალი რკინის გზა ქიზიყს, ამ თითქმის ნახევარს მთელის კახეთისას, განზე სტოვებს ჩვენის აზრით-კი, გზა სიღნაღის ქვემოდ უნდა გადავიდეს ქიზიყში და მერე შიგნით კახეთისკენ შეუხვიოს.

ქიზიყზე რომ გაიაროს რკინის გზამ, მას, ქიზიყს გარდა, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ზაქათალა-ბელაქნისათვისაც, საიდანაც აუარებელი ხილი და საქონელი მიდის ტფილისში. მაშინ აქ, ქიზიყის ერთ ერთ სადგურზედ, როგორც მახლობელზე, მოიყრიდა თავს ეს საქონელი და ხილი და მას ცოცხალ სავაჭრო ბაზრად გადააქცევდა. ოცი და ოცდაათი ვერსით გზის შესამოკლებლად სრულიად არა ღირს ასეთი კუთხის გვერდზე მიგდება. ქიზიყმა სამუდამოდ უნდა დაიბანოს ხელი რკინის გზაზე, მას იგი ველარ ელირსება.

კარგი იქნება ყველა ეს მხედველობაში მიიღონ იმათ, ვისზედაც ამ გზის მიმართულებაა დამოკიდებული.

**თ.**

## ახალი ამბავი

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

✦ **ქართველები ოლთის ოლქში.** როგორც ვიცით, უწინ ზემო ქართლი შეიცავდა მესხეთ-ჯავახეთსა და ყარსისა, არტაანისა და ოლთის ოლქის ნაწილებს. საუკუნოების განმავლობაში საქართველოს ამ ნაწილებში ოსმალების ბატონობამ ძირიან-ფესვიანად შეარყია ქართველ ხალხის მდგომარეობა. მრავალი ქართველობა გამაჰმადიანდა. დიდი ნაწილი გადავიდა მცირე აზიის სხვა და სხვა ნაწილში და სამუდამოდ მოსწყდა სამშობლო ქვეყანას, ხოლო ვინც დარჩა, ისიც მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაშია. ოლთის ოლქში, ოსმალეთის საზღვართან, ეხლაც ბევრი სოფელია თურმე წმინდა ქართული. ოჯახში სახმარებელი ენა ქართული აქვთ, ბავშვებმა 10—15 წლამდე არც კი იციან ოსმალური. კარგად შენახულან დღემდე სოფლები მორთული, სალაჩური, თავის-კარი, ნარიმანი, ფენიაკი, კარნავაზი და სხვანი. ამ მხარეში მრავლად არის ძველი ტაძრები, მონასტრები, სასახლეები, მარნებში ქვევრები, საწყნახლები და სხვა. უხვად მოჰყავსთ ყურძენი, მაგრამ ღვინის დაყენებას არ მისდევენ. ამ დღეებში ოლთის ოლქიდან ჩამოვიდა ბ-ნი აბელ აბელიშვილი, რომელმაც ოლთის ქართველობის უნუგეშო მდგომარეობა სიტყვიერად გადასცა წ.-კ. საზოგადოების გამგეობის მდივანს და სთხოვა, მთავარმა გამგეობამ ითაოს აღნიშნულ სოფლებისათვის სკოლების დაარსება. ბ-ნ აბელიშვილის სიტყვით, ამ ცოტა დროში ოლთის ოლქიდან ჩამოვლენ ხიმშიაშვილები, ორბელიანი და სხვანი და წ. კ. საზოგადოების წინაშე ოფიციალურად აღძვრენ შუამდგომლობას სკოლების დაარსების შესახებ.

✦ **ნამესტნიკის თანაშემწის დანიშვნა.** ამას წინად ხმა გავრცელდა, კავკასიის ნამესტნიკის სამოქალაქო თანაშემწედ სენატორ ვატაცის ნიშნავენო „კასპის“ სიტყვით, ამის შესახებ ბრძანება ამ დღეებში გამოქვეყნდება.

✦ **ტყუილი გამოდგა.** „კასპს“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „ფინანსთა მინისტრმა უარჰყო ხმა, ვითომ განზრახული იყოს ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის რევიზიაო“.

✦ **ცეცხლის ჩაქრობა.** ამას წინად ვწერდით, რომ დიდი ცეცხლი გაუჩნდა ტყეს სამ მოსაზღვრე მაზრაში—ქუთაისის, შორაპნისა და რაჭისაში. ეხლა ცეცხლი, როგორც „ტ. ლ.“-ს ატყობინებენ, ნაქერალაზე უკვე ჩაუქვრიათ. ცეცხლის ჩასაქრობად რაჭიდან გაუყვანიათ 800 კაცი, ოკრიბიდან—300; ქვანახშირის მაღაროებიდან 150 მუშა. იყო აგრეთვე ჯარი.

✦ **სალამოს სკოლა.** მასწავლებელ ქალთა საზოგადოება ვ/რაზე მართავს მომუშავე ქალთათვის სალამო სკოლას. მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ წყნეთის ქუჩაზე, № 13, წერა-კ. საზოგადოების სამკითხველოში ყოველ დღე 5—7 საათზე.

✦ **ტფ. სამარხ კასის წევრთა კრება.** 20 სექტემბერს მოხდა ტფ. სამარხ კასის წევრთა საზოგადო კრება. კრებამ მცირე კამათის შემდეგ უცვლელად დაამტკიცა 1907 და 1908 წლების ანგარიში. შემდეგ ლაპარაკი ჩამოვარდა 1907, 1908 და 1909 წლებში გამგეობის მიერ გარიცხულ წევრებზე. საზოგადო კრებამ უკანონოდ სცნო მათი გარიცხვა და დაადგინა, მიღებულ იქმნენ ამ წლებში გარიცხული წევრები, მხოლოდ იმ პირობით, თუ ამ წლის 1 დეკემბრამდე შეიტანენ მათზე დარჩენილ საწევრო გადასახადს. წინააღმდეგ შემთხვევაში სამუდამოდ იქმნებიან გარიცხულნი. შემდეგ მოხდა არჩევნები გამგეობის ორი წევრისა (დავითაშვილმა და მერკვილაძემ უარი განაცხადეს გამგეობის წევრობაზე) და სარევიზიო კომისიის ორის წევრისა. გამგეობის ახალ წევრებად ერთხმად არჩეულ იქმნენ მღვ. დ. ლაზარიშვილი და ნ. ზაალიშვილი. მესამე წევრად, საზოგადოების თხოვნით, ისევ დეკ. ა. თოთიბაძე დარჩა. სარევიზიო კომისიის წევრებად ახლად არჩეულ იქმნა ბ-ნნი ლ. შიუკაშვილი და ი. ფანცულაია. მესამე წევრად საზოგადოებისავე თხოვნით ისევ ძველი წევრი ბ-ნი ქანანოვი დარჩა. საზოგადო კრებამ ძველ გამგეობის წევრს ბ-ნს მერკვილაძეს დაავალა რაც შეიძლება კასსა, რომელშიაც ამ ჟამად 1031 მანეთი ირიცხება, მალე ჩააბაროს მღვ. დ. ლაზარიშვილს. აგრეთვე ყველა წევრს ეცხადება, საწევრო გადასახადი მღვ. დ. ლაზარაშვილთან მიიტანოს, რადგან დღეიდან კასსირად მღვ. დ. ლაზარაშვილი ითვლება და არა ს. მერკვილაძე.

✦ **მშობელთა წრე.** კვირას, 20 სექტემბერს, მოხდა ქალთა მეოთხე გიმნაზიის მოსწავლეთა მშობლების საერთო კრება მშობელთა წრის დელეგატების ასარჩევად. ამორჩეულ იქმნა 15 კაცი.

✦ **ფორმის ტანისამოსი.** ტფ. გუბერნატორმა მისწერა მაზრის უფროსებსა და ტფ. პოლიცმეისტერს, აუკრძალონ ძველი ტანისამოსების ვაჭრებს პაგონებიან შინელების გაყიდვა, რადგან შემჩნეულია, რომ ბევრი როგორც სოფლებში ისე ქალაქში ფორმის ტანისამოსს ატარებენ.

✦ **ჯარში გაწვევა.** ჯარში წელს ქალაქ ტფილისიდან გაიყვანენ 215 ყმაწვილს. კენჭის ამოსაღებად დაბარებულია 650 კაცი. კენჭის ამოღება დაიწყება 15 ოქტომბერს.

✦ **მღვდლობის ჩამორთმევა.** სასინოდო კანტორის დადგენილებით, გოგოშნის მღვდელს ანდრია კასრაძისათვის ჩამოურთმევიათ მღვდლობა და აუკრძალნიათ 20 წლის განმავლობაში სახელმწიფო სამსახურში შესვლა. კასრაძეს ჰბრალდება სისხლის სამართლის დებულების მე-129 მუხლის დარღვევა.

✦ **პასუხის გებაში.** ადმინისტრაციის განკარგულებით პასუხის გებაში იქმნა მიცემული ბოქაულად ნამყოფი ოქონოვი, სასჯელთა დებულების მე-14 მუხლის ძალით. პასუხის გებაში იქმნა მიცემული აგრეთვე უბნის ზედამხედველად ნამყოფი ვინოგრადოვი სასჯელთა დებულების მე-9,377 და 378 მუხლის ძალით.

✦ **სტიპენდია.** ქალთა მეორე გიმნაზიაში გაიხსნა ვაკანსია ქალაქის ერთი სტიპენდიატისა.

✦ **ჯეჯილი.** მოგვივიდა საყმაწვილო „ჯეჯილი“ ივლის-აგვისტოს ნომრები (7—8). ამ ნომერში მრავალი ლექსი, მოთხრობა და წერილია მოთავსებული.

✦ **მატინოვის ცხედარი.** ტფ. ქალაქის გამგეობის განკარგულებით, გამგეობის წევრი ნ. ე. არგუთინსკი წავიდა ბათუმს, სადაც იგი უნდა მიჰგებებოდა ქალაქის თავად ნამყოფის მატინოვის ცხედარს. არგუთინსკიმ გუშინ დეპეშით აცნობა ქალაქის გამგეობას რომ გემი „იმერეთი“ 21 სექტემბერს დილით მოვიდა ბათუმშიო. გვამი ბათუმის სომეხთა ეკლესიაში დაასვენეს.

✦ **საკრედიტო საზოგადოება.** ტფ. სახელოსნო სამართველოსთან დაარსებულმა წვრილ საკრედიტო-დაწესებულებამ უკვე დაიწყო მოქმედება. 1000 მან. უკვე გაიცა სესხად ხელოსნებზე

✦ **დაპატიმრება განჯაში.** 17 სექტემბერს განჯაში ვიღაცეებმა მოჰკლეს გოროდოვოი. ეხლა პეტერბურგის სააგენტო გადმოგვცემს, რომ მკვლელი დააპატიმრეს; იგი აღმოჩნდა „დაშნაკციუთუნის“ პარტიის წევრიო.

✦ **ჩინელები.** ტფილისში დღემდე იშვიათად შეჰხვდებოდა კაცი ჩინელს, ამ ბოლო დროს-კი ტფილისში რამდენიმე ოჯახიც კი ჩამოვიდა. პატარა ბავშვები დალაბანდით ხელში კარდაკარ დადიან და საკრავებითართობენ ხალხს.

# მახვილი გრძნობა

დრამატიული ფანტაზია 1 მოქმედებად.

**კ. ტეტმაიერისა.**

**მოქმედნი პირნი:**

| | |
|---|---|
| **დედა.** | **არტურ ვენერი.** |
| **ანნა.** | **კსენდზი**—მოძღვარი. |
| **ლეონი**—ბრმა, ყრუ და მუნჯი. | **პეტრე**—მოსამსახურე. |

სცენა წარმოადგენს აგარაკად მდგომ სახლს დაბალის აივნით. ცალ მხარეს მოსჩანს ტყე. აივანს აკრავს დიდი კარგად მორთული ოთახი. სდგას პიანინო, დივანი მორთულია ლამაზ მუთაქებით. აწყვია რბილი სავარძელი, სკამები. ერთ მაგიდაზე დიდი ლამპა სდგას. აივანზე გასასვლელ კარებში ორივე მხარეს, მაღალ მარმარილოს ქვებზე, სდგას ვაზები სურნელოვან ყვავილებით. სავარძელში ზის დედა, მაუდანისამოსში გამოწყობილი, ხელსაქმე მუხლებზე და აქვს გადაფენილი და მუშაობს. დედის პირდაპირ, აივნის სიახლოვეს ჩამომჯდარია მოწყენით ანნა, თავი ძირსა აქვს დახრილი და იდაყვებით მაგიდაზედაა დაბჯენილი წაბლის ფერი თმა ხშლადა აქვს გადაშლილი მხრებზე. სახეზე მეტად ფერმკრთალია, თეთრი ტანისამოსი აცვია, თმაში ვარდები აქვს გაკეთებული, ფარდის აწევისას აივნიდან მოსჩანს მოღრუბლული ცა, რომელზედაც სავსე მთვარე სუსტად ანათებს ტბის ზედა ნაპირს. ტბას იქით მოსჩანს ტყე და დიდრონი სალი კლდეები. საღამო ხანია.

**ანნა** (ჩუმად, თითქოს თავისთვის). რა მყუდროებაა! ფოთლებს შრიალი გააქვთ... დღეს მთვარე მეტად მოწყენილია. (მოისმის შორიდან ქუხილის ხმა).

**დედა.** ცა მოღრუბლულია. ამაღამ ძლიერი ქარიშხალი ამოვარდება... ჰაერი ტყვიისავით მძიმეა და ცხელი.

**ანნა.** ხედავ, დედა, როგორი მოწითალო ფერი აქვს მთვარეს, თითქოს დაჟანგებულ სპილენძისაგან იყოსო.

**დედა.** მთვარე ეგეთი უფერულია ხოლმე, შვილო, ქარიშხალის წინ.

**ანნა.** არ ვიცი რათ, მაგრამ მეშინიან. თითქო რაღაც გამოურკვეველი საშინელი აჩრდილი დაჰქროლავს ჩვენს სახლს გარშემო...

**დედა.** შენ დაღლილი, ნერვებაშლილი ხარ, ჩემო კარგო, ძლიერ ბევრს ვარჯიშობ როიალზე.

**ანნა.** (ცოტა სიჩუმის შემდეგ) ამ საღამოს, როდესაც როიალზე ვუკრავდი, როიალის თვლები თავისთავად ხტოდნენ თითების ქვეშ. საერთო მყუდროებამ და ყვავილთა სურნელებამ დამათრო, დამბნიდა... უცხო და გამოურკვეველი მელოდიები დასცურავდნენ ჩემს აზროვნებაში... (მოისმის ქუხილის ხმა შორიდან).

**დედა.** ქარიშხალი ახლოვდება.

**ანნა.** ჩემს გარშემო თითქოს ხმების ჯანყი დაგუბებულიყო, რომელიც ჩემი სუნთქვის დროს ნაზად ირხეოდა, (პაუზა). ფანჯარას მივუახლოვდი. მთვარეს ოქროსფრად გადაექცია ტბის ზედაპირი. მის შუქზე შუშაბანდებს ბჭყვრიალი გაჰქონდა... სამარისებური სიჩუმე სუფევდა ირგვლივ, რომ ამ დროს უცბად ხმები შეირხნენ!..

**დედა** ქარი ამოვარდა. ვშიშობ, ახალი ნერგები არ დაამტვრიოს.

**ანნა.** (განაგრძობს). ყვავილებში უცხო ფრინველმა შეიფრთხიალა... მოწყენილმა, ძილის მომგვრელმა ფიქრებმა შემიპყრეს.

**დედა** (სიყვარულით). დიდი მეოცნებე მყავხარ... დიდი!..

**ანნა.** ტბიდან მკაფიოდ შემომესმა უცხო მუსიკის ხმა. ამ ხმებში შეზავებული იყო ტკბილი გრძნობა, რომელიც იწვევს ადამიანს სიკოცხლისაკენ და მრისხანე, ვითარცა სიკვდილი... მე ვგრძნობდი, როგორ მაკლდებოდა ძალ-ღონე, შორს—უფსკრულისაკენ გადავარდნას ვლამობდი. და ამ დროს გულში საოცარი ტკივილი ვიგრძენ და გამოვფხიზლდი... ვიღაც თმაზე ხელით შემეხო... ეს იყო ლეონი. იგი ჩემს გვერდით იდგა და ისედაც ფერმკრთალს, სიკვდილის ფერი დასდებოდა... სასტიკმა შიშმა შემიპყრო, ამოსუნთქვა გამიძნელდა... პირველ შეხედვაზე ლეონი საშინელებად მომეჩვენა... ის დიდხანს იდგა ჩემს გვერდით და ცივს ჰაერს ხარბად სუნთქავდა .. შემდეგ ამოაძრო თმიდან ერთი ყვავილი, რომელიც სხვებზე მეტად სურნელოვანი იყო. .

**დედა** (მწუხარედ). საწყალი ბავშვი...

**ანნა.** (ჩაფიქრებული. შემდეგ აღელვებული) დედა, დედა, გესმის როგორა თრთიან ხეები? (ისმის შორიდან ქუხილი) განა ესეთი ცახცახი იციან ხეებმა ქუხილის დროს?

**დედა.** ეს შენ გეჩვენება, ჩემო კარგო. ქუხილის მეტი სხვა ხმაურობა არა ისმისრა.

**ანნა.** არა, არა! ნათლად შემომესმა, თუ როგორ აცახცახდა ხეები ბაღში...

**დედა** (თავისთვის). საბრალო ბავშვი...

**ანნა.** მე მესმის შენი ჩურჩული, დედა. ამ წუთში, მე ვგონებ, შემიძლიან ტბის ძირში მყოფ მცენარეთა შერხევაც-კი გავიგო!... (პაუზა).

**დედა.** შორს იყავით შენ და ლეონი?

**ანნა** ხიდს იქით. ბზის ტოტები დავსწყვიტეთ.

**დედა.** ხალისით წამოგყვა, განა?

**ანნა.** ხალისით. მე შევუკრიბე დიდი კონა ტყის ყვავილებისა და ეს, ეტყობოდა, ძლიერ ახარებდა. (პაუზა). ნუ მიდიხარ, დედა!..

**დედა.** განა ვერა ჰხედავ, რომ არსად მივდივარ? ადგილიდამაც-კი არ დავძრულვარ...

**ანნა.** მომეჩვენა, თითქოს შენ წასვლა დააპირე.

**დედა.** რა გემართება, ანნა?

**ანნა.** არ ვიცი... ჩემს გარშემო გამოურკვეველი ბურუსია... (პაუზა. იღვძებს).

**დედა.** მოძღვარი უეჭველად გამოგვივლის ანდრესაგან, ღამის გასათევად. (პაუზა). რომელი საათია?..

**ანნა.** ათი საათი იქმნება.

**დედა.** ლეონსა სძინავს?

**ანნა.** სავარძელში ჩაძინებული დავტოვე. ძლივს მოვაშორე ამ ვაზას (ხელით აჩვენებს მარჯვენა მხარეს მდგარ ვაზას). ისე გაიტაცა ყვავილის სურნელოვანებამ. მე ვშიშობდი, უცაბედად ხელი არ წამოეკრა და არ გადმოეგდო. ვაზა მეტად მძიმეა, გუშინ ძლივს შევსდგი მარტომ... (უცბად შეკრთება).

**დედა** (შეშფოთებული). შენ ცახცახებ! რა დაგემართა, ანნა?..

**ანნა.** უცნაურმა შიშმა შემიპყრო.

**დედა.** ბავშვობაა, შვილო...

**ანნა.** მაგრამ შენ ხომ იცი, დედა, ჩემი საოცარი წინადგრძნობა. (შორეულ კარებიდან აივანზე ამოდის პეტრე. გვერცხლის სინით სადარბაზო ბარათი მოაქვს).

**პეტრე.** (აწოდებს ბარათს დედას). უცნობი მგზავრი გახლავთ, ცხენოსანი.

**დედა.** (კითხულობს ხმამაღლა). არტურ ვენერი.

**ანნა.** (ცოცხლად) ვენერი?!

**დედა.** (პეტრეს) ხომ არა უთქვამს რა?

**პეტრე.** შემომჩივლა, ჭალაში გზა აჰბნევია, ნება ითხოვა ამაღამ ღამე გაათევინოთ.

**დედა.** სთხოვე! (პეტრე მიდის).

**ანნა.** ვინ იცის, იქნებ ნათესავი ვინმე იყოს რიჩარდ ვენერისა?

**დედა** (ღიმილით) გსურდა, რომ თვითონ რიჩარდ ვენერი ყოფილიყო განა?

(პეტრეს შემოჰყავს არტური. მგზავრს მუქი ფერის მოკლე კურტკა აცვია, რომელიც ყელამდე შეკრული აქვს. მაღალი წაღები).

**არტური.** მაპატიეთ, ღვთის გულისათვის, რომ ასეთ შეგვიანებულ ჟამს ვარღვევ თქვენს მყუდროებას. დაბურულ ჭალაში გზა დავკარგე...

**დედა.** მობრძანდით. სიამოვნებად ჩავსთვლით თქვენს სტუმრობას.

**არტური.** გულწრფელად გმადლობთ. წარმოიდგინეთ, მე და ჩემი ცხენი ერთად გადავცვივდით პატარა ხრამში, მაგრამ, საბედნიეროდ, უხიფათოდ გადავრჩი. ესაა მხოლოდ, რომ ფეხი ვიღრძვე ოდნავ და თავისუფლად სიარულს მიშლის...

**დედა.** გთხოვთ დაბრძანდეთ!.. (შემოდის პეტრე).

**პეტრე.** ქალბატონო, მოძღვარი დაბრუნდა...

**დედა** (წამოდგება). მაპატიეთ. ჩვენი მოძღვარი ავადმყოფისაგან დაბრუნდა. მოკლე ხნით დაგტოვებთ მარტო... (დედა და ანნა გადიან).

**არტური** (მარტოდ). ოჰ, ეს ფერმკრთალი ქალიშვილი... სწორედ სიზმარია... მოჩვენება... სასწაული...

ამ წუთში ოთახის მარჯვენა კარებში გამოჩნდება ლეონი. გრძელი თავისუფალი ხალათი აცვია, და შავი რბილი ტუფლები. ახალგაზრდური სახე აქვს უფერული. ხელ-გაშვერით მძიმედ მიდის იქით, სადაც ვაზა დგას ყვავილებით. კარების კუთხეს მიეხლება სუსტად, ვაზას ხელს მოახვევს, გადმოსდგამს ძირს და სიამოვნებით ყნოსავს. არტური წამოდგება ფეხზე, გაოცებული. შემოდის ანნა.

**ანნა** (ჩქარის ნაბიჯით მივა ლეონთან). ჩემი ძმაა... ღმერთმა წაართვა მას ყველაფერი; მხედველობა, სმენა და ხმა.

**არტური.** საშინელი უბედურებაა!

**ანნა.** დიაღ, საოცარი... (პაუზა. ანნა სცდილობს ნაზად მოაშოროს ლეონი ვაზას და არტურს მიმართავს). მოიღეთ სიკეთე, ვაზა დავდგათ თავის ადგილზე, იგი მეტად მძიმეა. (არტური მიახლოვდება და მძიმედ დაიხრება ვაზის ასაღებად. ლეონი, როგორც სჩანს, გრძნობით იგებს უცხო პირის ახლოს ყოფნას და შფოთვა-აღელვება ემჩნევა მაშინ, როდესაც ანნას მიახლოვებისას იგი ნეტარ სიამოვნებასა ჰგრძნობდა. ლეონი ხელებს გააქნევს და უცაბედად არტურისა და ანნას მხრებს შეეხება. ეს ლეონს მეტად აკვირვებს. არტური დასდგავს მარტო ვაზას და უკან დაიწევს. ანნა ამოიძრობს თმიდან ერთ ვარდს და ძმას მიაწვდის ხელში. ლეონი მაგრა შემოჰხვევს ცალ ხელს ანნას და მეორე ხელით ვიღაცის განდევნას ანიშნებს. მთელი ეს სცენა ლეონის გამოსვლის შემდეგ დიდ-ხანს არ უნდა გრძელდებოდეს. შემოდიან დედა და მოძღვარი. იგი შეჭაღარავებული მოხუცია, დმობიერის სახით).

…ტფ. საუქციონო ზალის გამგემ …ა გ. ყიფიანმა, როგორც იქნა, ბე-… მეცადინეობის შემდეგ მოახერხა …ის უკეთეს და უფრო იაფ ბინაზე …ტანა ქალაქის სახლში, ველიამი-…ს ქუჩაზე. ზალას დაეთმო 24,25 …ნი სივრცის სადგომი და 54 ოთხ-… სივრცე სარდაფი. ამოდენა სად-…ისათვის ქალაქის საუკეთესო ად-…ს ზალას ქირად გადახდება 1000 … როგორც არა ერთხელ აღვნიშ-…, მირზოევის სახლში ზალას ორ-… უფრო პატარა სადგომი ეჭირა და …ქი იხდიდა 2220 მან. სამი წლის …ვლობაში დირებულებაზე მეტი ქი-… ქალაქისაგან მირზოევს მიერთვა 4 … მანეთამდე.

19 სექტემბერს პოლიციამ დააპა-…რა და პასუხისგებაში მისცა მიკირ-… მიკირტიანცი, რომლისათვისაც ალე-…ჩრა მელვინოვისას რუსეთში წასვლი-… მიუბარებია 400 მანეთის ნივთები, …რამ მას გაუყიდნია და მიმალულა. ამა-… დღეს დააპატიმრეს ნაძალადევში ცხრა …აპორტო კაცი; დააპატიმრეს აგრეთვე …ენერალ-გუბერნატოროდან გადასახლე-…ნი და თავის ნებით ტფილისში დაბ-…ნებულნი სილოვან გიგიბერია, სტეფანე …არდანოვი და ნიკოლოზ ქიტუაშვილი.

# მოწერილი ამბები

**ბელაგორი.** ამასწინად აქ მოხდა …ილობრივ საბლაღოჩინო სამღვ-…ოების კრება. კრებას უნდოდა აერ-… კანდიდატი სახელმწიფო საბჭოს …რის ამომრჩევლად. დასახელებულ …ა ოთხი კაცი—დეკ. ჭეიშვილი, დამ-…ძე, ცაგარეიშვილი და დომენტი …ძე. უპირატესობას სურდა, დეკ. და-… დამბაშიძის არჩევა. ერთი მღვდე-… არწმუნებდა მათ, რომ უმჯობესი …ება ჩხაიძე ავირჩიოთო. ამ გარემოე-… ოთუმანი გამოიწვია და ვერავითარ …კვნას ვერ დაადგინეს. საკითხი გადაი-… კრების გათავების შემდეგ აზრი …ცვალდეს და ერთხმად არჩეულ იქნა …კ. ჭეიშვილი. შემდეგ თავმჯდომარემ …ითხოვა სია გადაცვალებულებისა პირ-…დ ენკენისთვემდე. ჯერი მიდგა ჯა-…გირის დანიშვნაზე. ამ საკითხმა ძა-…ან გაახარა უჯამაგირო მღვდლები. …ულ საბლაღოჩინოში ამისთანა მღვ-…ლი 16 აღმოჩნდა. შეუდგნენ გამოან-…რიშებას, თუ მათში ვის უფრო ნა-…ები შემოსავალი ჰქონდა, რომ მცი-… შემოსავლიანი პირველ რიგში ყო-…ლიყო აღნიშნული. ყველაზე მცირე …მოსავლიანი აღმოჩნდა ოთხი მღვდე-…. შემოსავლის დაფარვა შეუძლებელი …, რადგან მოსული იყო სია, სადაც აღნიშნული იყო, თუ რომელი მღვდელი რამდენს დრამასა და ჯამაგირს (100 მან.) იღებს წელიწადში. საშუალო რიცხვით მარტო დრამა—და ჯამაგირი გამოვიდა 500 მან. ამას გარდა მღვდლებს სულ მცირე 20—15 თუმანი მაინც შემოუვათ წელიწადში სხვა და სხვა მღვდელმოქმედებისათვის ასე რომ მცირე ჯამაგირიანი მღვდლები 600 მანეთს მაინც აიღებენ წელიწადში. ბოლოს გაირჩა წვრილი საკითხები, სადაც საყურადღებო არა უთქვამს რა. მცირე შენიშვნა: აქაური მღვდლები ნაკლებად ეტანებიან წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს და საზოგადოდ გონების საზრდოს. ორიოდე მღვდელს თუ იპოვნით მთელ საბლაღოჩინოში, სადაც 52-მდე მღვდელია, რომ ჟურნალ-გაზეთები მოსდიოდეს, ზოგს სმის მეტი არაფერი მიაჩნია ამ ქვეყნად...

აქაურ სკოლებში 4 ენკენისთვეს ყველგან სწავლა დაიწყო. სამინისტრო სკოლაში ამ ჟამად სამასამდე ბავშვი სწავლობს. ამ სკოლაში აზნაურ ბავშვებს თითო თუმანს ახდევინებენ სწავლის ფულს, სამრევლო სკოლაში კი—სამ მანეთს, მაგრამ ორმოცამდე აზნაუშვილის ბავშვი მაინც მიაწყდა წელს ამ სკოლას. სამინისტრო სკოლის შენობა ჯერ კიდევ არ დასრულებულა და მგონი ამ წლის გასულსაც არ იქნება მზად. ამისი მიზეზი ის იყო, რომ მოიჯარადრეებმა დროზე ვერ მიიღეს ფული. სამოსწავლო მთავრობას აღთქმული 1,200 მანეთი ჯერაც არ მიუცია. დანარჩენ ფულის მოგროვება ჯერ-ჯერობით შეუძლებელი გახდა, რადგან ყველა საერთო კრიზისს და შიმშილობას განიცდის. ხალხმა ითხოვა, რომ ეს ფული მისცემოდა სესხად გამოსაკვებ თანხიდან. ჯერ-ჯერობით პასუხი არ მოსულა. კარგი იქნება, რომ ეს ფული ასესხონ. არც შენობის საქმე გაჭიანურდება და შამოდგომის შემდეგ ხალხიც უფრო შეიძლებს ფულის გადახდას. ამ სკოლის მასწავლებელთა შორის ცოტა ცვლილება მოხდა. გადაიყვანეს სკოლის ზედამხედველი მოსე ჯულელი და მასწავლებელი სარდიონ ძიძიგური. მათ მაგიერ დანიშნეს მეთოდე მიქაუტაძე და კალისტრატე წოწონავა.

აქაური სცენის მოყვარენი წავიდ-წამოვიდნენ. აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში კიდევ გამართეს წარმოდგენები როგორც აქ, ისე სოფ. ძირულაში და ამით წარმოდგენების სეზონიც დასრულდა. ამ ზაფხულს სცენის მოყვარეებმა ოთხჯერ ბელაგორში დასდგეს წარმოდგენა და თითოჯერ სოფ. მოლითში, სოფ. დორეშაში და სოფ. ძირულაში.

ხანგრძლივ გვალვების შემდეგ 9 სექტემბერს ვეღირსეთ წვიმას, მაგრამ სულ რომ არ მოსულიყო, ისა სჯობდა. მას აქეთ ყოველ საღამოთი წვიმს და ისეთი ჭექა-ქუხილია, რომ ყველას თავზარსა სცემს. ამ დღეს ორჯელ ზედი-ზედ ჩამოვარდა მეხი. ადგილობრივ სადგურის გვერდით დასცემია ტელეფონის სვეტს. ზოგან ფანჯრები ჩაულეწია. ბევრს გული წასვლოდა. ამ დღეებში მეხი დასცემია სოფ. ვახანის სამინისტრო სკოლის შენობას. შენობა იმდენად დაზიანებულა, რომ სწავლა შეწყვეტილა. დასცემია მეხი აგრეთვე სოფ. მოლითში მღ. იასონ მხატრიშვილის ეზოში კაკლის ხეს.

წელს აქეთ ძალიან ნაკლები მოსავალია. სიმინდების ტეხვას უკვე შეუდგნენ და როგორც ეტყობა, საშუალო რიცხვით, კომლზე სამი თვის სარჩო თუ მოვა. ლობიო ეხლავ ბათმანი (50 გირ.) მანეთია. წინად ცხრა-ათი შაური იყო. მოსალოდნელია, რომ ბათმანი სიმინდი სამჯერ მეტად აიწევს.

**რისხვა..**

# სპარსეთი

**რეშტელების პროტესტი.**

რეშტის მცხოვრებლებმა ტელეგრაფით პროტესტი გამოუცხადეს სპარსეთის მთავრობას, ეინუდ-დოვლესგან შეწირული ფული ასი ათასი თუმანი რად მიიღეთო. პროტესტში ნათქვამია: „ჩვენ ფულად ვერ გავყიდით ჩვენი ძმების სისხლსა. ჩვენ ვერ მივიღებთ შემწეობას იმ ჯალათისგან, რომელმაც მრავალი ხალხი დაღუპა და გააღატაკა თავრიზში. გთხოვთ ზიზღით უარჰყოთ ეინუდ-დოვლეს შემწეობა და იმის მაგივრად ჩვენგან მიიღოთ ასი ათასი თუმანი.

**კორესპონდენტების ცენზურა.**

სპარსული გაზ. „ირანი“ მოითხოვს მთავრობისგან, რომ მან კონტროლი გაუწიოს იმ ცნობებს, რომლებსაც უცხოელი კორესპონდენტები ჰგზავნიან სპარსეთიდანაო. მთავრობამ დააწესა „ცნობათა ბიურო“, დეპეშები გაგზავნა ლონდონსა, ბერლინსა და პარიზში და იქაური პრესა გააფრთხილა, სპარსეთიდან მიღებულ ცნობებს სიფრთხილით მოექეცით, რადგან კორესპონდენტები ბევრს ჭორსა და ტყუილ ცნობას ავრცელებენ სპარსეთზეო.

# ოსმალეთის ამბები

**მოლაპარაკება იაპონიასა და ოსმალეთს შორის**

მოლაპარაკება იაპონიასა და ოსმალეთს შორის მუდმივ დიპლომატიურ ურთიერთობაზე თურმე ჯერ არ გათავებულა. იგი დროებით შეწყვეტილი ყოფილა, ხოლო ამ დღეებში ისევ გაუახლებიათ და როგორც ამბობენ, მალე სასურველად დასრულდება. ტოკიოში ოსმალეთის საელჩო დაწესდება, ხოლო სტამბოლში იაპონიისა.

**საალყო წესები იემენში**

ოსმალეთის ჯარის უმფროსმა საალყო წესები გამოაცხადა იემენში (არაბეთში). მთავრობამ იქ ექვსი ბატალიონი ჯარი გაგზავნა ორი გემით.

# სასოფლო-სამეურნეო სკოლა სოფ. ხორში

**(სამეგრელო)**

ცნობილ ლუარსაბ ლოლუას დამ, ქ-ნმა ეკატერინე აბდუშელიშვილისამ ხორშის საზოგადოებას, რომელსაც შეადგენენ სოფლები: საადანაიო, სანორაკიო, საგუგუნავო, საგაბესკირიო, საგვასალიო, ციზეთი და საპარკაიო, წინადადება მისცა, სოფელს ხორშში სამეურნეო სკოლა გახსენითო და მე სასწავლებლისთვის შვიდ თვალიან სახლს და 25 ქცევა მიწას შემოგწირავთო. ამასთანავე შუამდგომლობა აღძრა სამიწათ-მოქმედო სამინისტროში, რომ საზოგადოებას ამ საქმისთვის ყოველ წლიური სუბსიდია დანიშნოდა და სახაზინო ტყიდან ხის მასალა მისცემოდა მიწის შემოსაკავებლად და სკოლისათვის სხვა საჭირო შენობების დასადგმად. სხვებიც დაჰპირდნენ საზოგადოებას დახმარებას, მაგალითად: მხეცურად მოკლულის ცნობილ სპირიდონ ნორაკიძის ქვრივმა 600 მანეთი აღუთქვა საზოგადოებას, თავად მიხეილ ლევანის ძე ჩიქუამ და მისმა მემკვიდრემ—4 ქცევა მიწა, მღვდელმა ივანე კანკავამ ქცევა ნახევარი მიწა, აზნაურმა გუგუნავებმა, ფილიპე კემულარიამ და აბდუშელიშვილის სხვა მოსაზღვრეებმა თითო ქცევა მიწა.

მთავრობამ შეიწყნარა ეკატერინე აბდუშელიშვილის შუამდგომლობა და წარსულ აგვისტოში გამოგზავნა აგრონომი ტიმოფეევი, რომელმაც დაათვალიერა მიწები და სახლი და საზოგადოება გააცნო სკოლის წესდებას. ამ წესდებით, საზოგადოებას ყოველ წლიურად მიეცემა სუბსიდიად 2000 მანეთი. სკოლაში მიღებულნი იქნებიან სასოფლო სკოლის პირველ კლასში სწავლა დამთავრებულნი, არა ნაკლებ 13 წლისანი. სწავლა იქნება როგორც თეორეთიული, ისე პრაქტიკული. გარდა ამისა მასწავლებელნი მოვალენი იქნებიან, თვითონ მოსწავლეთა მშობლების მამულებში თვალყური ადევნონ მეურნეობის წარმოებას და დარიგება აძლიონ. რიცხვი მოწაფეთა იქნება 60—80. საზოგადოებამ უნდა შეიძინოს მხოლოდ ინვენტარი, აგრეთვე სკოლისათვის სხვა საჭირო შენობა და უნდა შეაკავოს მიწა.

ეს სკოლა ახალის ტიპისაა და მოწონებული მთელ რუსეთში. იგი ამზადებს ნამდვილ მეურნეს და არა ისეთებს, რომელნიც სხვა და სხვა კანცელარიაში თუმნიან და ორ თუმნიან ადგილებზე მიილტვიან. მაგრამ სამწუხაროდ, აქაც მოხდა იმისთანა რამ, როგორც ბანძის საზოგადოებაში, სადაც უარი სთქვეს სკოლის და ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების დაარსებაზე. ეკატერინე აბდუშელიშვილის მეცადინეობას წინ ეღობებიან ხალხის მტერნი. ეს ვაჟბატონები ხორშის განაპირა სოფლის საგვასალიოს მცხოვრებთ აგონებდნენ, რომ სამეურნეო სკოლა თქვენზე შორს იქნება, თქვენი შვილები იქ ვერ ივლიან და სკოლა თქვენთვის უნაყოფო იქნებაო, ხოლო დანარჩენ მცხოვრებთ ეუბნებოდნენ, თავი არ დაიღუპოთო და სკოლის გახსნაზე დასტური არ მისცეთო, სკოლის შესანახავად გადასახადი დაგედებათ და სულ გაღატაკდებითო. სოფ. საგვასალიოში დუქნები, სასოფლო სკოლა და სოფლის კანცელარიაა. სამეურნეო სკოლის მტრები ფიქრობენ, რომ უკეთუ ხორში სამეურნეო სკოლა გაიხსნა, მაშინ დუქნებიც იქ გაიმართება, სოფლის კანცელარიასაც იქ გადიტანებენ და საგვასალიო მიყრუებული დარჩება.

ამნაირის მითქმა-მოთქმით საზოგადოება ორ-ბანაკად გაიყო და ყრილობა ჩაიშალა. ეკ. აბდუშელიშვილის მეცადინეობით მთავრობა 2000 მანეთს სუბსიდიას ჰპირდება საზოგადოებას ყოველ-წლიურად, ესე იგი საზოგადოებას უბრუნებს იმაზე მეტს, რასაც ახდევინებს სახელმწიფოს სასარგებლოდ. აგრეთვე ნებას აძლევს, სახელმწიფო ტყიდან სკოლის შენობისათვის საჭირო მასალა გამოიტანოს უსასყიდლოდ და საზოგადოება ხალხის მწოველების წყალობით უარზეა ამნაირ დახმარებაზე. დიდად სამწუხაროა ამნაირი რამ. ტყუილია იმ ვაჟბატონების ქადაგება, ვითომ სამეურნეო სკოლა საზოგადოებას გაალატაკებს: საზოგადოებას ერთ-დროული ხარჯი დასჭირდება, ესე იგი ინვენტარის შეძენა, მიწის შემოკავება, სკოლის მმართველის დასადგომი სახლი, თვით სკოლა და ერთი მასწავლებლი მოთავსდებიან ეკატერინე აბდუშელი[შვი]ლის მიერ შეწირულ [illegible] მიწის ნაწარმოების შესანახავ შენობა ყველა ამისათვის [illegible] …ტანელი არ [illegible] 800 კომლ მცხოვრებისთვის. სიშორეც არაფერ შუაშია, რადგან განაპირა სოფლები ერთი ვერსის მანძილზე არიან ხორშზე და თუ სოფ. საგვასალიოში არსებულ სამინისტრო სკოლაში განაპირა სოფლებიდან 7—8 წლის ბავშვები დადიან, რატომ 13 და 14 წლის ბავშვს არ შეუძლიან იაროს საგვასალიო და სხვა სოფლებიდან ხორშის სამეურნეო სკოლაში? უსაფუძვლოა ის მოსაზრებაც, რომ თუ სოფელს ხორშში სამეურნეო სკოლა გაიხსნა, დუქნებიც და კანცელარიაც იქ იქნება გადატანილი. რა სასურველია, რომ სკოლის გვერდით გამოჩნდნენ დუქნები და კანცელარია! საზოგადოება კარგად უნდა დაუკვირდეს ამ ახალს საქმეს. არ უნდა აჰყვეს იმ ვაჟბატონებს, რომელნიც სცდილობენ ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭირონ და არ უნდა მიატოვონ იმისთანა სიმპატიური საქმე, რომელსაც შეუძლიან ეკონომიურად და გონებრივად დაცემული ხალხი წინ წასწიოს.

**ეგრისელი.**

# თეატრი და ხელოვნება

**ოპერა.** შარლ გუნოს მხცოვანმა „ფაუსტ“-მა დიდ-ძალი საზოგადოება მიიზიდა შაბათს სახაზინო თეატრში. ბევრი რამ ახალი იწერება, ბევრი ახალი ფორმა იქმნის, ხელოვნების მრავალი ახალი გზა იკაფება, მაგრამ ის, რასაც ერთი და ერთი ნიჭიერების სული უდგა—არ შედგება, დავიწყებას არ ეძლევა. „ფაუსტ“-იც სწორედ ის ლამაზი, სურნელოვანი ყვავილია მუსიკაში, რომელიც ვერც ხანთა სვლამ, ვერც გახშირებულმა განმეორებამ ვერ დააჭკნო.

შაბათის წარმოდგენაში ამხანაგობამ ოთხი ახალი მომღერალი გვაჩვენა: ქ-ნნი როსტოვსკაია (მარგარიტა) და ვოლსკაია და ბ-ნნი კორჩმარევი (ფაუსტი), და ეგოროვი (მეფისტოფელი).

ქ-ნი როსტოვსკაია გარეგნობით, მიხვრა-მოხვრით და სახის მოძრაობით ძალიან მოხდენილი მარგარიტაა. ხმა კი მეტისმეტად სუსტი აქვს, თუმცა ამასთანავე წმინდა და ინტონაცია გარკვეული და გამოთქმაც მკაფიო, მარტივი.

ასევე ითქმის ბ-ნ კორჩმარევის შესახებ იმ განსხვავებით კი, რომ მისი ხმა უფრო ნაკლებ არის მკვეთრი და მგზნებარე. ხან და ხან ისე გადაიხლართებოდა ხოლმე მისი და ქ-ნ როსტოვსკაიას ხმა ერთმანეთში, რომ მამაკაცის სიმღერას ქალის სიმღერისაგან ვერ გამოარჩევდით.

ბ-ნ ეგოროვის შესახებ ამბობდნენ ავად არისო. თუ ეს ამბავი მართალია, მაშინ არა გვეთქმის-რა... მაგრამ თუ ის, რაც ჩვენ გავიგონეთ, მისი ბუნებრივი სიმღერაა —მაშინ კი ღმერთმა შეინახოს... არ ეპატიება, რომ მეფისტოფელის როლს ასრულებს, თუმცა გარეგანი გადმოცემა მეფისტოფელის ხასიათისა საკმაოდ ეხერხება. არ ეპატიება აგრეთვე ამხანაგობას, რომ ავადმყოფი მომღერალი გამოჰყავს მისთვის უცხო საზოგადოების წინაშე... ამ წარმოდგენის წყალობით შეიძლება საზოგადოებამ მთლად აიცრუოს გული ბ-ნ ეგოროვზე.

ქ-ნ ვოლსკაიას, გარდა ლამაზი გარეგნობისა, სხვა არა შესწევს-რა ზიბელის როლისათვის.

ძალიან კარგი იყო ბ-ნი ევლახოვი ვალენტინის როლში, განსაკუთრებით სიკვდილის ჟამს. ხმა მიბნედილი სიმღერა მას ძალიან ეხერხება და ამიტომაც მომაკვდავ ვალენტინის სულიერ ვითარების მის მიერ გადმოცემა ბუნებრივი და გრძნობების ამშლელი იყო.

ბ-ნთ რეჟისორებს განუზრახავთ ახალი რამ უჩვენონ ტფილისის საზოგადოებას „ფაუსტი“-ს დადგმა-მოწყობაში და, წარმოიდგინეთ, ძველზე-უძველეს საშუალებისათვის კი მიუმართავთ: მესამე მოქმედება, წინანდელებრ, ეკლესიაში შეუტანიათ, მაშინ, როდესაც ეს უკვე შეცდომად არის აღიარებული, რადგან ბუნებრივად როდი მიაჩნიათ, რომ სატანა წირვა-ლოცვის დროს ეკლესიაში დაბრძანდებოდეს. ამ შეცდომის გასწორება ეკუთვნის ცნობილ შალიაპინს და მას შემდეგ „ფაუსტი“ ყველგან ამ ცვლილებით იდგმის. ამას გარდა, ბ-ნთ რეჟისორებს ჩაუმატებიათ ერთი პატარა სურათი—მარგარიტას და ზიბელის შეხვედრა. ეს სურათი მეტია, უმნიშვნელოა და მგონია არსად არ იდგმის. არც დრამატიული და არც მუსიკალური ღირსება მასში არ მოიპოვება. დანარჩენი მოქმედებები კარგად არის მოწყობილი, განსაკუთრებით „ვალპურგის ღამე“. პრიმა-ბალერინა ოსსოვსკაია ძალიან მოეწონა საზოგადოებას.

**ინენ.**

# შორეულ აღმოსავლეთში

**რუსეთის ახალი შეურაცხყოფა.**

რუსეთ-გერმანიის კონფლიქტი ხარბინში თან და თან მწვავდება. გერმანიის კონსულს ბაუმიულერს

---

**დედა.** ლეონი აქაა? რათაა ეგრე ელვებული?

**ანნა.** უცნობ სტუმრის ყოფნა უხებს ალბად.

**დედა.** წაიყვანე ოთახში და ტანთ ხადონ, დაძინებას თუ მოისურვებს. (ამ დროს ქსენდზსა და არტურს ერმანეთს გააცნობენ. ისინი ჩუმად ბაააბენ, ალბად ლეონზე, რომელიც ანს ოთახისაკენ მიჰყავს. დედა მიუახოვდება მათ. ლეონი იგრძნობს მესა ადამიანის მიახლოვებას, შეჩერდება, შინებული მაგრა მოჰხვევს დას ხელს, გრამ მიჰხვდება დედის სიახლოვეს, ხე გაუბრწყინდება და ანნას ხალისით ჰყვება).

**დედა** (არტურს). ჩემი შვილია, ოგორც ჰხედავთ, სასტიკად დასილი ბუნებისაგან... მახვილი გრძნობა აქვს. აი, რითია საპრალო. სამაეროდ უხვად დაჯილდოვებული. ტონებო, გაიცანით ერთმანეთი? ტური და ქსენდზი თანხმობის ნიშ თავს დაიქნევენ). ლეონს ამ ბოლ დროს მეტად ემჩნევა მრისხანე, ხშირად ვფიქრობ ხომ არ იქვნდლობს ანნაზე. ორი დღის წინადსე ლონივრად წაჰკრა ხელი საყალმებელს, რომელსაც უნდოდა ანნასვის ხელზე ეკოცნა, რომ საბრალო კინაღამ წაიქცა.

**კსენდზი** (თავისთვის). ნუ თუ იღვიძებენმასში დაგვიანებული გრძნობები?

**დედა.** რა სთქვით, მოძღვარო?

**კსენდზი.** არაფერი. მე ვფიქრობ ლეონს ფხიზელი ყურადღება უნდა მივაქციოთ..

**დედა** (შეშფოთებული). როგორ?!

**კსენდზი.** მაგვვარ არსებაში ძნელია სინამდვილის გაგება. (ანნა დაბრუნდება).

**ანნა.** სავარძელში ჩაჯდა, ყვავილს ეთამაშება და ვგონებ მალე დაეძინება.

**დედა.** არის ვინმე მასთან?

**ანნა.** ამ წუთში არავინ, მაგრამ იგი ეხლა სრულიად დამშვიდებულია. (კსენდზს) როგორ არას მოხუცი ანდრე? ხომ არ მოკვდება?

**კსენდზი.** ყველაფერი ღვთის ნებაა, ჩემო შვილო, ყველაფერი...

**ანნა.** ღმერთი მოწყალეა. მე ისე ვლოცულობდი ანდრეს გულისათვის...

**კსენდზი** (ღიმილით). რასაკვირველია, მუსიკით, როგორც ყოველთვის?

**ანნა** (თითქოს თავს იმართლებსო). მე სხვა გვარად ლოცვა არ ვიცი. მაგრამ ღმერთი განა ყოველ-გვარ ლოცვას არ მოისმენს? (არტური სკამს დაეყრდნობა).

**დედა.** რატომ არ დაბრძანდებით, ბატონებო? მე გამჩნევთ, რომ ხრამში გადავარდნას სრულიად უშედეგოდ არ ჩაუვლია თქვენთვის.

**არტური.** დიახ, შედეგს მეცა ვგრძნობ.

**კსენდზი.** მე ვიცნობდი რიჩარდ ვენერს. თქვენ ძლიერ მაგონებთ მას თვალ-ტანადობით.

**არტური** (თავმომწონედ). ის გახლდათ მამაჩემი.

**ანნა** (ჩუმად). ახ!..

**დედა.** მით უფრო სასიამოვნოა, რომ ჩემს სახლში ვხედავ დიდებულ კაცის შვილს.

**კსენდზი.** ის იყო ბრწყინვალე ვარსკვლავი ხელოვნებისა (მიუთითებს ანნაზედ) და ეს კი ერთი მისი გულმხურვალე თაყვანისმცემელთაგანი გახლავთ (არტური მდაბლად თავს უხრის ანნას), უკრავს ზეპირად თითქმის ყველა იმას პიესებს. (მოისმის ქუხილის ხმა).

**არტური** (სცდილობს სხვა საგანზედ იბაასოს). რა მშვენიერი ქუხილის ხმაა? ასეთი შორეული ქუხილი საუცხოვოა ზღვაზედ.

**დედა.** თქვენ ზღვაზე გიმოგზაურიათ?

**არტური.** აფიცრად გახლდით სამხედრო გემზე.

**კსენდზი.** გემ „ალმატროსზე“ ხომ არა? მახსოვს, გაზეთებში ამოვიკითხე მათი სახელები, ვინც ექსპედიციის დროს ჩრდილოეთის ცივ ქვეყნებს მიაღწია, მათ რიცხვში ვგონებ თქვენი გვარიც იყო. (არტური თანხმობის ნიშნად თავმომწონედ თავს დააქნევს. ანნა ცხადის ცნობისმოყვარეობით მისჩერებია) ეს მეტად დიდი გაბედულობა იყო.

**არტური** (მკაფიოდ). ხშირად სიკვდილი პირდაპირ თვალებში მოგვჩერებოდა!

**კსენდზი.** სამაგიეროდ, თქვენ უეჭველად სასწაულებს ნახავდით?

**არტური.** დიახ, სასწაულებს... რომლის აღწერაც კი არ შეიძლება, მოძღვარო... როდესაც მზის სხივები ყინულიან მთაგორებს თავს დაჰყურებდა, ზღვას თითქოს ცეცხლი ეკიდებაო, თვალის მომჭრელი იყო მთელი ოკეანე.

**ანნა** (ოცნებით). მსურდა მენახ ოდესმე მაინც თვალუწვდენელი ზღვის კიდური და ყინულთ სამეფო მთვარის შუქზე...

**კსენდზი.** რაც შემეხება მე, არაარას ვინატრებდი იმის მეტს, რომ მეხილა აღმოსავლეთი, მომევლო წმინდა ქვეყანა და მენახა საფლავი უფლისა.

**არტური** (მამაცურად). მე ვყოფილვარ იქაც!..

**კსენდზი.** შესანიშნავი ღამეები სცოდნია აღმოსავლეთში?!

**არტური.** მთელი ცა მოჭედილია ვარსკვლავებით. ყვავილთა ტოტები ზურმუხტისფრად ციმციმებენ მთვარის შუქზე. წყლის ზედა პირი ფერად ხავერდივით ბრწყინავს. ამგვარ ღამეებში ძლიერ მიყვარდა ზღვის ნაპირებზე ნავით ცურაობა.

**ანნა** (ოცნებით). სამწუხაროდ, ქარი ჰქრის, თორემ ჩვენც შეგვეძლო ტბაზე ნავით გაგვესეირნა. მრავალი ყვავილია იმის ნაპირებზე...

**დედა.** ცა თანდა თან ჩამობნელდა, საცაა წვიმა წამოვა.

**კსენდზი** (ყურს უგდებს). თითქოს წყალმაც უმატა ხმაურობას.

**დედა** (არტურს). რა ბედნიერებაა, რომ ამ ქარიშხალმა ტყეში არ მოგასწროთ და ისიც გზა აბნეულს.

**არტური.** ვუმადლი ბედს, რომელმაც თქვენი სახლის გზაზე დამაყენა. (პაუზა).

**ანნა** (გაჰყურებს ცას ჩუმად). როგორა ბნელა ცაში.. (საოცრად გაანათებს ელვა, და მოისმის სულ ახალის მრისხანე ქუხილის ხმა. ყველანი შემკრთალნი წამოხტებიან).

**დედა.** ღმერთო ძლიერო, ეს საღლაც ახლოს გავარდა მეხი!..

**კსენდზი.** აქვე, ვგონებ ბელლის მახლობლად!

**არტური.** უეჭველად ხეს დაეცა ბაღში. (შემორბის აღელვებული პეტრე).

**პეტრე** (ჩქარა, აღელვებით). ძველ ბელელს მეხი დაეცა! (ყველანი შეშფოთდებიან).

**დედა.** ანნა, მომაწოდე წამოსასხამი, ჩქარა! (ანნა გაირბენს ოთახის მარცხენა კარებში).

**კსენდზი** (დასამშვიდებლად). ძველ ბელელს—ეს არც საშიშია და არც მაგრე საზარალო.

**დედა.** დიახ, მართალია, მაგრამ უნდა შევეცადოთ ცეცხლი სხვა შენობებზედაც არ გადავიდეს (ანნას ოთახიდან მოსასხამი გამოაქვს).

**არტური.** რომელ მხარესაა ბელელი?

**დედა** (უჩვენებს). იქით.

**არტური.** ქარი მეორე მხარედანა ჰქრის, ცეცხლის ალი სულ არ არის საშიში შენობებისათვის. (პეტრე გარბის).

**დედა.** (ანნას). შენ სახლში დარჩი, ლეონთან!.. წავიდეთ!..

**ანნა** (შეშინებული) მარტოდ დავრჩე სახლში?!.. (არტური გადაჰდგამს რამდენსამე ნაბიჯს და განგებ კოჭლობს).

**დედა** (არტურს). თქვენ გატყობთ, ფეხი გტკივათ. უმჯობესია სახლში დარჩეთ. (დედა და კსენდზი საჩქაროდ გავლენ. რჩებიან მარტო არტური და ანნა. დიდი ხნით სიჩუმეა).

**ჯაფარ-ფაშა.**

(დასასრული იქნება)

ახალი შეურაცხყოფა მიუყენებია რუსის პოლიციელებისთვის. „რუს. სლოვო"-ს ხარბინელი კორესპონდენტი სწერს:

„14 სექტემბერს გერმანიის კონსულმა ბაუმიულერმა ხარბინში ხელახლად მძიმე შეურაცყოფა მიაყენა რუსეთის ეროვნულ ღირსებას. რუსის სასამართლოს დადგენილებით გერმანელთა ფირმის ქარხანა უნდა გაყიდულიყო ვალში. გერმანელებმა ქარხანაზე გერმანიის ბაირაღი გაშალეს და თავიანთ კონსულის განკარგულებით ქარხნის კარები ჩაკეტეს და როდესაც რუსის პოლიცია მოვიდა ქონების ასაწერად, კონსულმა ბაუმიულერმა მოქმედებით შეურახყოფა მიაყენა რუსის პოლიციელებს.

კონსულმა ბაუმიულერმა აცნობა თავის მთავრობას, რომ რუსები ძალმომრეობას ხმარობენ გერმანიის ქვეშევრდომებზეო. რუსის სასამართლოს ბრალმდებელმა თავის მხრივ მოახსენა რუსეთის იუსტიციის მინისტრს, რომ გერმანელები სრულიად არ ემორჩილებიან რუსის სასამართლოს დადგენილებას და არად აგდებენ რუსის ადმინისტრაციის უფლებასაო.

კონსული ბაუმიულერი არიგებს გერმანიის ქვეშევრდომებს, რუსის ადმინისტრაციას გადასახადებსა და ხარჯს ნუ მისცემთო, და მეტად კადნიერად ექცევა რუსის მთავრობის წარმომადგენლებს.

ეს ინციდენტი თანდათან მწვავდება და სერიოზულ კონფლიქტის ხასიათს ღებულობს".

ამას გარდა, გერმანიის ადგილობრივმა კონსულმა მოსთხოვა თავის მთავრობას, გერმანიის ახალშენიდან კიაოჩაოდან ჯარი გამომიგზავნეთ ხარბინში გერმანელთა ინტერესების დასაცველადო. („კ.").

**გერმანულ პრესის აზრი ხარბინის ინციდენტზე.**

გერმანულმა პრესამ დიდი შფოთი ასტეხა ხარბინის ინციდენტის თაობაზე. პრესა ამართლებს კონსულის გაბედულს მოქმედებას და მკაცრადა და კადნიერად იხსენიებს რუსეთის პოლიტიკას. გაზეთები მოითხოვენ, რომ გერმანიამ შესაფერი ადგილი უჩვენოს რუსეთს და თან აუხსნას, რომ მანჯურია რუსეთის სამფლობელო აღარაა.

**იაპონელები მტრულად უცქერიან რუსებს.**

იაპონიიდან მოსულები ამბობენ, იაპონელები იმდენად მტრულად ეკიდებიან რუსებს, რომ იაპონიაში საშიშია რუსულად ლაპარაკი, რადგან იაპონელებმა რამდენჯერმე სცემეს რუსულად მოლაპარაკესო. ასე მოუვიდა, მაგალითად, რუსის გემის „კორეიკის" ორს მეზღვაურსაო.

მიუხედავად ასეთ ამბებისა, ვლადივოსტოკში რუსები მაინც არხეინად არიან და ომისა არ ეფიქრებათ. („რ. ს.").

**იაპონელები კორეიაში.**

კორეის საზღვარზე, ტუმენის ნავთ-სადგურში იაპონელები ჰმართავენ სადგურს ნალმოსნებისთვის. ტუმენის სამხრეთით სინციანში იაპონელები ჰმართავენ ნავთსადგურს, საიდანაც მალე რკინის გზას გაიყვანენ გირინისა და კუანჩენძისკენ. სინციანის ახლო, ორიოდე ვერსტის მანძილზე ყაზარმებს აშენებენ. იქ ჯარი მიჰყავთ და საქონელი მიაქვთ იაპონელებს.

ამას გარდა, იაპონელები შეუდგნენ დიდი რკინის ხიდის აშენებას მდინარე იალუზე კორეის შესაერთებლად მანჯურიასთან.

**ევროპიული სკოლები ჩინეთში.**

ჩინეთის მთავრობამ ამას წინად სუბსიდია დაუნიშნა გერმანულ უმაღლეს სასწავლებელს კიაოჩაოში (გერმანიის ახალშენია დიდ ოკეანეს ნაპირას ჩინეთში). ეხლა მთავრობამ გადასწყვიტა წელიწადში 500 ათასი ფრანკი აძლიოს სუბსიდიად ინგლისის უნივერსიტეტსაც გონკ-გონგში (ინგლისის ახალშენია ჩინეთში), ორივე უმაღლესი სასწავლებელი დანიშნულია ჩინელებისთვის.

**საზღვაო სამინისტრო ჩინეთში.**

ფლოტის განახლების კომისიამ დაადგინა სმზღვაო სამინისტრო დაარსდესო. რეგენტი პრინც ჩინი უკვე დასთანხმდა ამ დადგენილებას.

**ევროპიელები მანჯურიაში**

ჩინეთის მთავრობამ გამოაცხადა, რომ ქალაქი ჩანჩუნი, რომელიც მუკდენსა და ხარბინს შუა მდებარეობს, ჩრდილოეთ მანჯურიისა და სამხრეთ მანჯურიის საზღვარზე, გაიხსნება საერთაშორისო ვაჭრობისთვისო, ესე იგი ევროპიელ, ამერიკელ და იაპონელ ვაჭრებს უფლება ექნებათ თავისუფლად ივაჭრონ ამ ქალაქში.

**ჩინეთის ბანკი მუღაეში.**

იმ აზრით, რომ მუღაეში (მონგოლიაში), რომელიც რუსეთის საზღვარს ახლო მდებარეობს, რუსის ფულმა არ იმუშაოს, ჩინეთის მთავრობამ საკუთარი ბანკი გახსნა მაიმაჩინში.

**სამოქალაქო უფლების სკოლები ჩინეთში.**

ფრანგული გაზ. „უნივერ"-ი იუწყება: ჩინეთის მთავრობამ დაადგინა ყოველ უმთავრეს პროვინციალურ ქალაქსა, სადაც მანდარინი (უმაღლესი მოხელე) იმყოფება, და ყოველ სამაზრო ქალაქში დაარსონ პოლიტიკურ მეცნიერებათა და სამოქალაქო უფლების სკოლები, რომლებშიაც მოწაფეებს შეასწავლიან კონსტიტუციის საფუძველთ, საარჩევნო წესებს, მთავრობის როლს სახელმწიფოში, ხალხის უფლებას და სხვა. ამ სკოლებმა უნდა მოამზადონ ხალხი მომავალ კონსტიტუციისთვის, რომელიც რვა წლის შემდეგ იქნება გამოცხადებული ჩინეთში. მასწავლებლად ახალ სკოლებში იქნებიან უფლების მცოდნე იურისტები. სახსარი ამ სკოლების შესანახად უნდა აღმოაჩინონ კონსტიტუციის დასამზადებლად დაარსებულმა კომისიამ, რომელიც პეკინში იმყოფება. როგორც სჩანს კომისიას უნდა, რომ ეს სკოლები მის ხელში იყოს და არა პროვინციალურ მთავარ-მართებელის მხედველების ქვეშ. სჩანს აგრეთვე ისეც, რომ ეს სკოლები ემსგავსებიან უფრო ყველასთვის ხელმისაწვდომ დროგამოშვებით კურსებს, რომლებშიაც ხალხს შესძენენ პოლიტიკურ განვითარებას.

**აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გაყიდვა.**

გერმანული გაზეთები იუწყებიან, რომ რუსეთის ფინანსთა მინისტრი კოკოვცევი მალე შორეულ აღმოსავლეთში წავა და იაპონელებთან მოლაპარაკებას გაჰმართავს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის, ანუ მანჯურიის რკინის გზის გაყიდვაზეო.

# რუსეთი

**ქალის მოკვლა.** როგორც ვწერდით, პეტერბურგის ერთ სასტუმროში უცნობმა მოჰკლა როსკიპი ქალი. მკვლელი უკვე დააპატიმრეს. მკვლელს სასტუმროში ბარათი დაუტოვებია. ბარათში სწერია: „შურის ძიება მშვენიერ ქალებს. მეორე ნომერი. მევე მოვკალი როსკიპი ქალი გერუსი". ამბობენ, რომ უცნობი იმ ჯურის ბოროტ-მოქმედებს ეკუთვნის, რომელთაც აზრად ქალების დ. ხოცვა აქვთ. ამნაირ ბოროტ-მოქმედებს რუსულად „ჯეკ მელეტელებს" ეძახიან. კარგა ხანია ინგლისში ერთი კაცი სცხოვრობდა, სახელად ჯეკი. ჯეკი მუდამ იმას სცდილობდა, რომ ქალისთვის სადმე მოესწრო და მოეკლა. ჯეკმა ბევრი ქალი იმსხვერპლა. ჯეკის შემდეგ ასეთი კაცი აღმოჩნდა გერმანიაში, ქალაქ ბერლინში. ეს კაცი დაინახავდა თუ არა ქუჩაში ქალს, დიდს თუ პატარას, იმწამსვე მივარდებოდა და ჰკლავდა. აქედან წარმოსდგა ეს სახელწოდება.

**ვოსტორგოვმაც ხმა ამოიღო.** ჩვენში კარგად „ცნობილ" დეკანოზ ვოსტორგოვს ხელმწიფე—იმპერატორისთვის მოსკოვის მონარქისტების სახელით დეპეშა გაუგზავნია. ვოსტორგოვი შუამდგომლობს, დუბროვინის საქმე რუსეთის სასამართლომ გაარჩიოსო. როგორც ვიცით, დუბროვინის საქმეს ფინლიანდიის სასამართლო არჩევს.

**ფრანგი მოგზაურები.** სევასტოპოლში განსაკუთრებულ გემით ჩამოსულა 208 ფრანგი მოგზაური: აკადემიკოსები, პროფესორები და სხვა-და-სხვა საზოგადო მოღვაწეები. ფრანგები მეცნიერულის მიზნით მოგზაურობენ.

**ტავრიდის სასახლეში.** 15 სექტემბერს პეტერბურგში ჩასულა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ხომიაკოვი. ხომიაკოვთან ულაპარაკნიათ გაზეთების თანამშრომლებს. ხომიაკოვს, სხვათა შორის, უთქვამს: სახელმწიფო სათათბირო პირველად განიხილავს კანონ-პროექტებს თევზაობისა და გლეხთა მიწათ-მოქმედების მოწესრიგების შესახებო. ამ კანონ-პროექტების შემდეგ რას განიხილავს სათათბირო, ჯერ გამორკვეული არ არის. დამზადებულია ადგილობრივ სასამართლოების, პიროვნების ხელშეუხებლობის, განსაკუთრებულ წესწყობილების, მოხელეების პასუხის-მგებლობის და გლეხთა მიწათმოქმედების შესახებ კანონ-პროექტები. არის კიდევ წვრილმანი კანონ-პროექტები. ასე რომ პრეზიდიუმის საქმეა დამზადებულ კანონ-პროექტებიდან ისეთები ამოარჩიოს, რომლებიც მისის აზრით საჭირონი არიან. მე პირადად წინააღმდეგი ვარ, რომ ამ ახლო მომავალში ადგილობრივ სასამართლოების შესახებ კანონ-პროექტი განიხილოს სათათბირომ, რადგანაც ეს კანონ-პროექტი მჭიდროდ არის დაკავშირებული ადგილობრივ თვითმართველობის კანონ-პროექტთან. პიროვნების ხელშეუხებლობის და განსაკუთრებულ წესწყობილების შესახებ კანონ-პროექტებს კი ეხლანდელ დროში პრაქტიკული მნიშვნელობა ექნებათ და მათ განხილვას აუცილებელი საჭიროება მოითხოვ ო. ხომიაკოვს თავის აზრი გამოუთქვამს აგრეთვე სიკვდილით დასჯის და თვითმპყრობელობის შესახებ. „სრულებით ვერ გამიგიაო, უთქვამს ხომიაკოვს, ვისთვის არის საჭირო, ან ვის რად უნდა, რომ ამოდენა ხალხს სჯიან. ამნაირ მოქმედებას არავითარი აზრი არა აქვს. ზოგიერთებს ამ ხუთი წლის წინად მომხდარ ამბებისთვის სჯიან სიკვდილით და აბა რაღა საჭიროა წარსულ ისთვის დასჯა, როდესაც ეს ამბები უკვე დაგვავიწყდა. ამას გარდა გულს მიღელვებს ამ უკანასკნელ დროს მომხდარი კამათი თვითმპყრობელობის შესახებ. ეს კამათი დეპუტატთა ერთი ჯგუფის ლონდონში ჩასვლამ და იქ წარმოთქმულმა სიტყვებმა გამოიწვიეს. ზოგიერთები ამტკიცებენ რუსეთის ხელმწიფე—იმპერატორი შეუზღუდველიაო. ეს ხომ სიტყვების თამაშია და სხვა არაფერი. ძირითად კანონებში აშკარად და ნათლად სწერია, ვერც ერთი კანონი ძალას ვერ მიიღებს, თუ სახელმწიფო სათათბირომ არ დაამტკიცაო. რაღაა ამის შემდეგ იმის მტკიცება, ვითომ ხელმწიფე შეუზღუდველი არისო? ამის მტკიცება ყოველივე აზრს და საფუძველს არის მოკლებული. ინგლისელებს დაწერილი კონსტიტუცია არა აქვთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ინგლისელებს კონსტიტუცია არა აქვთ და ინგლისის მეფე შეუზღუდველი იყოს? ჩვენ ხომ პირ-და-პირ გვიწერია ის, რაც ინგლისელებს არ უწერიათ?

**საუნივერსიტეტო წესდება.** სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების სიტყვით სამინისტროს ახალ საუნივერსიტეტო წესდების საჩქაროდ განხორციელება სურს, ამიტომ ამ წესდებას სათათბირო ამ მოკლე ხანში განიხილავს.

**ვაჭრობის მინისტრი ტიმირიაზევი.** ვაჭრობა-სამრეწველოს სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს სამინისტროს ერთ წევრს განუცხადებია, ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ტიმირიაზევი უკანონოდ იქცევაო. გამოირკვა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო სათათბირომ და საბჭომ დაადგინეს ნავთიანი ადგილები კერძო პირებს აღარ დაურიგდეთ, ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს სამი წარჩინებული პირისთვის ნავთიანი ადგილები დაურიგებია, რისთვისაც პირადად უშუამდგომლნია ხელმწიფე—იმპერატორთან. ამის გამო მინისტრთა საბჭომ დაადგინა განმარტება მოსთხოვოს ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრ ტიმირიაზევს. („რუს ვედ.")

# წერილი რედ. მიმართ

„დროების" მე-190 ნომერში დაიბეჭდა ერთი ამბავი თიღვის მრევლისა, მღვდლის ათაევისა და სკოლის შესახებ. ეს ამბავი სიმართლეს მოკლებულია. თიღვის მრევლში არის 273 კომლი; აქედან ქართველი ერთი ნაწილია და ოსი ორ ნაწილზედაც მეტია, ე. ი. 80 კომლი ქართველია და 192 კომლი ოსია. უმრავლესი ნაწილი ამ ოსებისა სცხოვრობს შორს ეკლესიაზე და ქართველებზე, ამიტომ მათმა ქალებმა და ბავშვებმა ქართული ენა არ იციან. მღვდელი ათაევი ოსია, მაგრამ ქართული ენა კარგად იცის და მღვდელ-მოქმედობს ქართულად და არა რუსულად. ცოლი ჰყავს ქართველი; შვილები მისი ისე არიან გაქართველებულნი, რომ ოსური სრულებით არ იციან. თიღვის სკოლაში დადიან ოსებისა და ქართველების ბავშვები, ამიტომ მღვ. ათაევი სთხოვს საკოლო მთავრობას, რომ გამოგზავნოს თიღვის სკოლაში იმისთანა მასწავლებელი, რომელმაც იცოდეს ორივე ენა. სანამ მღვდ. ათაევი, აქ არ გადმოვიდა, ჩვენში სკოლას სახლი არა ჰქონდა. ათაევმა გაგზავნა თხოვნა ქრისტიანობის აღმაშენებელ საზოგადოების საბჭოში, თიღვის მრევლის უმრავლესობა ოსიაო, სწავლა უნდათ და სკოლა არა აქვთო. მაშინ საბჭომ მისცა 300 მანეთი, რომლითაც ათაევმა იყიდა სახლი სასკოლოდ. განა შეიძლება, რომ ამ სკოლის კარები იყოს დაკეტილი მესაკუთრეებისთვის? მასწავლებელი ედილაშვილი არის თიღვაში ოთხი წელიწადი; მოდიოდნენ სკოლაში ოსის ბავშვები და რადგან მასწავლებელსა და იმათ ერთმანეთის ენა არ ესმოდათ, სკოლას თავსანებებდნენ ოსის ბავშვები. ათაევმა კარგად იცოდა სკოლის სნეულობა, მაგრამ აქამდის ჩუმად იყო, რადგან ედილაშვილი სცდილობდა გადასვლას. ეხლა ედილაშვილი უკანასკნელად წავიდა თიღვიდან; იმანა სთქვა: „თუ გადამიყვანეს სხვაგან, კარგი, თუ არა და თიღვაში მაინც აღარ მოვალ, რადგან ოსური არ ვიციო". მიუხედავად ამისა, გორის განყოფილებაში არიან ზოგიერთი ქართველები, რომლებიც სცდილობენ, რომ კიდევ გამოგზავნონ თიღვაში მასწავლებლად ქართველი*) და არა ოსი, თუმცა მცოდნე ქართული ენისა, როგორც ესა სჩანს გაზეთში დაბეჭდილ ამბებიდან. მე ვარ ქართველი და ვცხოვრობ თიღვის მრევლში.

კაცია შალიბაშვილი.

*) საკვირველია, რატომ არ უნდათ ბ-ნ მალიბაშვილსა და მღ. ათაევს, რომ მასწავლებლად ქართველი იყოს! 80 კომლი ხომ ქართველია? ხომ შეიძლება ისეთი ქართველი დაინიშნოს, რომელმაც ოსურიც კარგად იცოდეს? ჩვენ იმისთვის-კი არ ვამბობთ ამას, რომ ოს მასწავლებლის წინააღმდეგნი ვიყვნენ, მხოლოდ გვაოცებს მღ. ათაევისა და ბ-ნ მალიბაშვილის სურვილი—უსათუოდ ოსი უნდა დაინიშნოს და არა ქართველი, თუნდაც ოსურის მცოდნე. რედაქცია.


# განცხადებანი

**გრიბოედოვის „პერეულოკში", № 6, ზემო სართულში**

## ქირავდება

ერთი ან ორი ოთახი მარტოხელ კაცისათვის; შეიძლება სადილითა და მოწყობილობითაც. იქვე **ასწავლიან ფრანგულსა, გერმანულსა და ინგლისურ ენებს.** (3—უ.—1)

## მატარებლების მიმოსვლა
(18 აპრილიდან)

ფრჩხილებს გარედ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში ტფილისისა

**ტფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი N 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო N 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო N 4, საღამოს 10 ს. 40 წ (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო N 9/10, ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო N 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.),

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. N 78/79, ნაშუადღევ. 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში—1) საკარაკო N 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საგარაკო N 77 a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**ტფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი N 2, დილის 8 ს. 38 წ. (9 ს. 36 წ.),
2) საფოსტო N 4, საღამ. 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 5 ს. 50 წ (6 ს. 48 წ.).

**ბაქოდან:** 1) სამგზავრო N 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 7 ს. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).

**ბორჯომიდან:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 6 ს. 46 წ. (7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო N 9/10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).

**ჯულფიდან:** საფოსტო N 72/73, დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 26 წ.).

**ერევნიდან:** სამგზავრო და საქ., ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

**მცხეთიდან:** მხოლოდ კვირა უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის—საგარაკო N 76 a, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.). საგარაკო N 76, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.).

პირველი კერძო სამკურნალო
## დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მუღლინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—177)

[illegible]

ადგილობრივი [illegible] ვართან ლისიციანი აცხადებს, რომ ვინც ამა წლის 10 ოქტომბრამდე დარჩენილ ფულს არ გადაიხდის, დასახელებული ადგილები გაიყიდება, ამასთან ბედ შეტანილი ფული პატრონებს აღარ დაუბრუნდებათ. იყიდება დარჩენილი ადგილები. მსურველმა უნდა მიმართოს კერძო სააუქციონო ზალაში, თავად-აზნაურთა სახლი, სასახლის ქ. (2—460—2)

**დ**აიბეჭდა ქართული პიესები: **„უშნო არშიყი"**, კომ. 3 მოქმ., **„სოფიო"**, ვოდევ. 1 მოქმ., **„დუქნის ოთახში"**, სცენა ქალაქის ცხოვრებიდან, თხზულებანია ალ. თუთაევისა. გამოცემა მეორე. ფასი 20 კაპ.

იყიდება: წ.-კ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში; „ცოდნის" წიგნის მაღაზიაში; ქ. გორში—არსენ კალანდაძესთან, ტფილისში—დიდუბეში ავტორთან საკ. სახ. N 212. ვინც 20—50 ცალს გამოიწერს, დაეთმობა 25%. (25—393—22)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ მყოფი
## საკომერციო ცოდნათა კურსები
ტ. მ. ფ ი ლ ო ი ა ნ ი ს ა.

ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, № 24/4.

ასწავლიან სპეციალურ საკომერციო საგნებს როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. კურსის დამთავრების შემდეგ ეძლევათ ატესტატები. ასწავლიან შემდეგ საგნებს: 1) ბუჰჰალტერიას მარტივს, იტალიანურს, გერმანულს, ამერიკულს, ბანკისა და ფაბრიკა-ქარხნისა; 2) კომერციულ ანგარიშს; 3) პოლიტიკურ ეკონომიას; 4) კანონების ცოდნას (სავაჭრო კანონებს, ვექსილების წესდებას); 5) კომერციულ მიწერ-მოწერას; 6) ანგარიშს «სჩოტებზე»; 7) კარგად წერას, სწრაფ წერას (ცუდი ხელის გასწორება); 8) სტენოგრაფიასა და 9) დაქტილოგრაფიას.

**სწავლის ფასი 60 მანეთია წელიწადში.**

**უცხო ენები.** საგნებს ასწავლიან დასავლეთ-ევროპის საკომერციო აკადემიების პროგრამით. კურსების ლექტორებად გამოცდილი სპეციალისტები და უმაღლეს სწავლა მიღებულნი არიან. სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვეს. თხოვნები მიიღება 1 სექტემბრიდან დილის 10—12 ს. და 4—7 საათამდის. პროგრამები და წესდება უფასოდ ეგზავნება და ეძლევა ყველას კურსების ბინაზე.

კურსების დამაარსებელი საკომერც. მეცნიერებათა კანდიდატი **ტ. ფილოიანი.** (20—ხალ.—16)

ვაჭრობისა და მრეწვ. სამინისტროს უწყებაში მყოფი
## საბუხჰალტრო კურსები
## ნ. ვ. აბრაამიანისა.

ტფილისი, ნიკოლოზის ქ., 22, საკ. სახლი, ტელეფონი N 744.

კურსები „ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოს" ავტორისაა. ეს სახელ. მოწონ. საკომერც. სასწავლებლისთვის ფინან. სამინისტროსაგან.

კურსები ორივე სქესისთვისაა. სწავლის ვადა 4 თვე. ასწავლიან **უცხო** ენებს და სტენოგრაფიას. სწავლა დაიწყება 15 სექტ. 1909 წ. და იქნება ყოველ დღე. პროგრამები და წესები უსასყიდლოდ იგზავნება. მიღება ყოველ დღე 15 აგვისტოდან.

კურსებთან სუსტად მომზადებულთათვის არსებობს მოსამზ. კურსები. ვინც ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოს გაიწერს ავტორისაგან, გასაგზავნ ფასს არ გადაიხდის. წიგნი ღირს 3 მ. 50 კ. (0—ხალ.—18)

ტ. მ. ფილოიანის
## საკომერციო ცოდნის კურსებზე
(მიხეილის პროსპ. N 24/4).

ასწავლიან **ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ** ენებს, თავისუფლად [illegible] დილით 10—12 ს. და 4—7 ს. კურსების დამაარსებელი [illegible] **ტ. ფილოიანი.** (20—ხალ.—17)




## ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის მაღაზია ქ. ქუთაისში.

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზე, ისე ნისიადაც [illegible]

[illegible]

ადრესი: А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6—73)